200.000 ტონა

# ზუგდიდელ და ცხაკაიელ მეჩაიეთა გამარჯვება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

**КОМУНИСТИ** — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 211 (13027) | ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

**ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ნაცვლად 36.300 ტონისა მოკრიფეს 36.310 ტონა ჩაის ფოთოლი**

**სეზონის ბოლომდე გეგმის ზევით მოკრიფონ 4.500 ტონა — აი მათი ვალდებულება**

**ცხაკაიელმა მეჩაიეებმა შეასრულეს წლიური გეგმა, მოკრიფეს 10.320 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი**

**სეზონის ბოლომდე გეგმის ზევით მოკრიფონ 1.400 ტონა — აი მათი ვალდებულება**

## ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს, რაიაღმასკომს

### ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. მოკრეფილია 36.310 ტონა ჩაის ფოთოლი. სამმართველოს მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება, რომ გეგმის გადაჭარბებით მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 4.500 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

მოპოვებული წარმატებები შედეგია იმისა, რომ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები თავდადებულად შრომობენ, ფართოდ ნერგავენ ჩაის პლანტაციების დამუშავების პროგრესულ მეთოდებს, გონივრულად იყენებენ სასუქებსა და ტექნიკას. ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს მშრომელების მიერ მოპოვებული წარმატებები დიდი წვლილია რესპუბლიკის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, სამმართველოს ყველა მუშაკს მოპოვებულ შრომით წარმატებას და გამოთქვამენ რწმენას, რომ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ნაკისრ ვალდებულებებს. ეჭვი არ არის, რომ ისინი წარმატებით შეასრულებენ აგრეთვე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს და ამით დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს, რაიაღმასკომს

### ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. მოკრეფილია 10.320 ტონა ჩაის ფოთოლი, სამმართველოს მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს, რომ გეგმის გადაჭარბებით მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 1.400 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

მოპოვებული წარმატებები შედეგია იმისა, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები თავდადებულად შრომობენ, ფართოდ იყენებენ ჩაის პლანტაციების დამუშავების მოწინავე მეთოდებს, გონივრულად იყენებენ სასუქებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, სამმართველოს მუშაკებს მოპოვებული შრომით წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ნაკისრ ვალდებულებებს. ეჭვი არ არის, რომ ისინი წარმატებით შეასრულებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**









**ზუგდიდელ და ცხაკაიელ** მეჩაიეთა შრომითი გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, მეჩაიეებმა. მათ შორის არიან ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კუტალია და ამავე საწარმოო სამმართველოს დიდი ნეძის კოლმეურნეობა „კომუნიზმის" მეჩაიე დ. ხაინდრავა, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჭიჭინაძე, ამავე საწარმოო სამმართველოს უშაფათის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. გაბელია და სხვები. მათ კარგა ხანია შეასრულეს წლიური გეგმები. მათი გადაწყვეტილებაა სეზონის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს „მწვანე ოქრო".

**სურათებზე:** ზევიდან ქვევით—დ. ხაინდრავა, ქ. გაბელია, ა. კუტალია და შ. ჭიჭინაძე.

ფოტოები ა. ფარულავასი და ბ. შანავასი.

## მისალმება ბულგარელ ხალხს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტოდორ ჟივკოვსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გიორგი ტრაიკოვს გაუგზავნეს მისალმება ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის გამო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიესალმებიან და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მოძმე ბულგარელ ხალხსა და ბულგარეთის ხელმძღვანელებს.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, ნათქვამია მისალმებაში, მთლიანად იზიარებენ ბულგარელი ხალხის კანონიერ სიამაყესა და სიხარულს ბულგარეთში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში შესანიშნავი მიღწევების გამო, რაც მან მოიპოვა სახალხო ხელისუფლების წლებში თავისი გამოცდილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

განვლილი 20 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხების მეგობრობა, რომელიც შორეულ წარსულში ჩაისახა, განუწყვეტლივ მტკიცდებოდა, ვითარდებოდა და ჭეშმარიტად ძმური გახდა.

სახელოვანი ეროვნული დღესასწაულის დღეს, გამოვხატავთ რა ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობას, გისურვებთ თქვენ და მთელ ბულგარელ ხალხს, ნათქვამია მისალმებაში, ახალ, დიდ წარმატებებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, სოციალისტური ქვეყნების ერთობისათვის, მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

## სამგლოვიარო მიტინგი

**მოსკოვი,** 8 სექტემბერი. (საქდესი). დღეს წითელ მოედანზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ამერიკისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თავმჯდომარის ელიზაბეტ ჰერლი ფლინის ხსოვნას.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. კუზნეცოვმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ, ესპანეთის კომპარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურიმ, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა გ. აპტეკერმა.

მიტინგი დამთავრებულია.

ურნა ამერიკელი ხალხის სახელოვანი შვილის ნეშტით გადატანილ იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავს

### ამიერკავკასიის რკინიგზის ერევნის განყოფილების კოლექტივის მიმართვა რკინიგზის აზერბაიჯანის, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებათა კოლექტივებისადმი

ამიერკავკასიის რკინიგზის ერევნის განყოფილების კოლექტივმა მოუწოდა რკინიგზის აზერბაიჯანის, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებათა კოლექტივებსა და საწარმოებს, რომ ჩაებან დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ განყოფილების რკინიგზელებმა დატვირთვის რვა თვის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულეს. ამ ხნის მანძილზე ზეგეგმითმა მოგებამ ასეულ ათასობით მანეთი შეადგინა. გზის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა საწარმო რენტაბელურად მუშაობს. ტექნიკის უკეთ გამოყენების, ტექნოლოგიის საექსპლოატაციო მუშაობის გაუმჯობესებისა, და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის გზით შრომის ნაყოფიერება დავალების გადამეტებით 8,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თვითღირებულება 4,5 პროცენტით შემცირდა.

მაგრამ, ნათქვამია მიმართვაში, ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობანი. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული წარმოების რეზერვები და ტექნიკა, მუშაობაში არის წუნი.

გააანალიზეს რა განყოფილებისა და თითოეული რგოლის მუშაობა ცალცალკე, რკინიგზელები დარწმუნდნენ, რომ გადაზიდვის პროცესებში, დატვირთვაში, გადმოტვირთვაში, მატარებლების შედგენასა და მოძრაობაში და სხვა საწარმოო ოპერაციებში არის გადაზიდვის პროცესის თითოეული ელემენტის რენტაბელობის გადიდების რეალური გზები.

განყოფილების კოლექტივმა, რომელმაც ყოველმხრივ განიხილა არსებული შესაძლებლობანი და რომელიც მხარს უჭერს მოსკოველთა თაოსნობას, გადაწყვიტა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავი აღნიშნოს ახალი გამარჯვებებით შრომაში და იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

გადაწყვეტილია: ფართოდ გამოიყენონ წარმოების მოწინავეების — დისპეტჩერების, ლოკომოტივთა მემანქანეების, მატარებლების შემდგენლებისა და მწონავების მუშაობის გამოცდილება, გაადიდონ გადაზიდვის მოცულობა და ხარისხი, მუდმივად ზარდონ შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომია, გააჩაღონ ბრძოლა იმისათვის, რომ შეამცირონ თითოეული საწარმოო ოპერაციის ხარჯები, ხოლო შრომის ნაყოფიერება ორი პროცენტით გაადიდონ.

სატვირთო სამუშაოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი რენტაბელობის გადიდების გზით მიმდინარე წლის ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ.

დასახულია დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს თავი მოუყარონ საურდენ სადგურებში და ამით უზრუნველყონ 70 პროცენტამდე მექანიზებულ ოპერაციათა დონე, ხოლო თითოეული ტონა ტვირთის გადამუშავების ღირებულება 0,5 პროცენტით შეამცირონ. გადაზიდვის პროცესებისა და სხვა ტექნიკურ ღონისძიებათა დაჩქარების გზით თითოეული ვაგონის ბრუნვა დააჩქარონ ერთი პროცენტით, ხოლო ვაგონის საშუალო მოცდენა ერთი სატვირთო ოპერაციის დროს და ტექნიკურ სადგურებში შეამცირონ 0,5 საათით.

განყოფილების კოლექტივმა გადაწყვიტა აგრეთვე ლოკომოტივების ბრუნვის პროგრესული გრაფიკის დანერგვის გზით ელმავალთა მწარმოებლობა 10 პროცენტით გაადიდოს, გაზარდოს მძიმე წონის მატარებელთა რიცხვი, მიაღწიოს 2 პროცენტით ელექტროენერგიის ეკონომიას.

მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდას და რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობის ფართოდ განვითარებას.

რკინიგზელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე ელექტრიფიცირებული გახადონ ეჩმიაძინ-მასისის უბანი, პირველი დეკემბრისათვის 30-კილომეტრიანი ლიანდაგი დააგონ რკინა-ბეტონის შპალებით და 16 კილომეტრი უპირაპირო ლიანდაგი 800 მეტრიანი რელსებით, აგრეთვე საექსპლოატაციოდ გადასცენ ნახევრადავტომატური ბლოკირების მოწყობილობა ერევან-სევანის უბანზე.

განყოფილების მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს აგრეთვე ვადამდე შეასრულონ საკონტაქტო ქსელის, ენერგომომარაგების მოწყობილობის, კავშირგაბმულობისა და ავტობლოკირების ხაზების ლიანდაგის კაპიტალური და საშუალო რემონტის გეგმა, საექსპლოატაციოდ გადასცენ ერევანში ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გაამწვანონ აბოვიანის, ლუსავანის, ელარის, რაზდანის, აირუმის, შაგალის, კიროვაკანის, სპიტაკისა და ეჩმიაძინის სადგურები. ზამთრისათვის სრული მზადება განყოფილების ყველა მეურნეობაში დაამთავრონ 30 ოქტომბრისათვის.

## შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. ე. ოლგეირსონი, ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. იოზეფსონი, ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ჰიარტარსონი, ამხანაგები ბ. ბიარნასონი და ს. ტოროდსენი.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხები. ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის ინიციატივით შეეხნენ ისლანდიასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობის საკითხს. აზრთა ურთიერთგაზიარებამ დაადასტურა, რომ კეთილსასურველი პერსპექტივები არის ამ დარგში.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. ს. ბელიაკოვი.

## კონტროლი მებრძოლი, მასობრივი

ერთიანი, მასობრივი, ყოვლისმომცველი' — ასეთი წარმოედგინა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი. ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ასეთი კონტროლი. მან უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და პარტიის ერთგული თანაშემწეა კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიულ სახელმწიფო კონტროლის ორგანოები წარმატებით მოქმედებენ იმიტომ, რომ ყოველთვის და ყველაფერში ეყრდნობიან მშრომელთა უაღრესად ფართო მასებს, იზიდავენ მათ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. მკაფიო მაგალითია მოსკოვის სახალხო კონტროლიორთა მუშაობა. აქ შექმნილია 20 ათასზე მეტი ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგო, რომელთა მუშაობაშიც ასი ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს. გასულ წელს ათასობით ადამიანი მონაწილეობდა მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში მოწყობილობის გამოყენების მასობრივ შემოწმებაში. არც ერთი საწყობი, არც ერთი უმოქმედო ჩარხი არ დაფარვია მზირთა გამჭრიახ თვალს. შემოწმებამ ხელი შეუწყო 39 მილიონი მანეთის გამოუყენებელი მოწყობილობის საექსპლოატაციოდ გადაცემას!

ბევრი რამ კარგი შეიძლება ვისწავლოთ ურალსკის ალუმინის ქარხნის კონტროლიორებისაგან. აქ ყოველდღიური მოვლენა იყო ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის გადახარჯვა. აქედან წარმოსდგებოდა ზარალიც. ხელშემწყობი ჯგუფი თვითეული საამქროს საქმეებში გაერკვა, ცალკეულ ადამიანთა უდარდელობა, ტექნოლოგიის დარღვევა იყო მთავარი, რაც იწვევდა გადახარჯვებს. მზირთა წინადადებით შემოიღეს აბაზანების უფრო სრულყოფილი ნაკადურ- გახშირებული დამუშავება ლითონის გამოსხმის ერთდღიური გრაფიკით. ამან შეამცირა ფთორიანი მარილების ხარჯვა, შრომითი დანახარჯები. ხელშემწყობი ჯგუფის წევრთა რჩევის განხორციელებამ დაუყოვნებლივ იჩინა თავი. თუ წლის პირველ თვეებში მეელექტროლიზეებმა მეურნეობის უგუნური გაძღოლის გამო ქარხანას 26 ათასი მანეთი ზარალი მიაყენეს, სამაგიეროდ შემდეგ მათ არა მარტო ეს ზარალი აანაზღაურეს, არამედ 141 ათასი მანეთიც დაზოგეს.

ვ. ი. ლენინი წერდა: „მუშურ-გლეხური ინსპექციის ამოცანას შეადგენს არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა", „მხილება" (ეს სასამართლოს საქმეა, რომელთანაც მუშგლეხინი ახლო დგას, მაგრამ სრულიად არ არის იგივე), რაც სასამართლო), — რამდენადაც გამოსწორების უნარი.

უნარიანი გამოსწორება დროულად — აი მუშგლეხინის მთავარი ამოცანა".

ეს ლენინური მოთხოვნა დაუდეს საფუძვლად თავიანთ მუშაობას ურალსკის ალუმინის ქარხნის კონტროლიორებმა. შემოწმებათა მასალებს ისინი ადამიანებს აცნობენ საამქროების, ბრიგადების საწარმოო თათბირებზე, იყენებენ მათ უარყოფითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად. გულახდილი საუბარი იმ მუშაკთან, რომელმაც შეცდომა, წინდაუხედაობა დაუშვა, ხელს უწყობს მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ადამიანთა აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ისეთი ჯგუფებიც — თუმცაღა მათი რიცხვი დიდი როდია, — რომლებიც სჯერდებიან ნაკლოვანებათა მხოლოდ გამომჟღავნებას, მათ შესახებ პატაკის წარდგენას. უეჭველია, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი ზემდგომ ორგანიზაციებს უნდა ეუწყებოდეს. მაგრამ მთავარი პროფილაქტიკაა, ნაკლოვანებებს გაზრდა არ უნდა ვაცალოთ, ადგილზე უნდა აღვკვეთოთ ისინი.

პარტიის მოთხოვნა — ყველასათვის სავალდებულოს ვხდიდეთ შრომის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს — აგრეთვე სახალხო კონტროლიორთა უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა ბრიგადა, ცვლა, საამქრო, ყველა საწარმო მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს სახელმწიფო დავალებას. საჭიროა ვამოწმებდეთ და კონტროლს ვუწევდეთ არა მარტო ჩამორჩენილებს, არამედ კარგად მომუშავეებსაც. არ უნდა ვანებებდეთ ადამიანებს თვითდამშვიდებას მიეცნენ და გაყოყოჩდნენ, მუდამ უნდა მოვუწოდებდეთ მათ წინ, მხარს ვუჭერდეთ და ვახალისებდეთ ძვირფას წამოწყებებს — ეს არის საქმის არსი.

ცხოვრება, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯერ კიდევ ყველა ხელშემწყობი ჯგუფი როდი გამხდარა მაორგანიზებელი ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდება მთელი საზოგადოებრივი კონტროლი. ხელშემწყობი ჯგუფები ყოველთვის როდი მუშაობენ. პირველადი პარტორგანიზაციების კონტროლის კომისიებთან, პროფკავშირთა საზოგადოებრივ კონტროლთან, „კომკავშირული პროჟექტორის" რაზმებთან მჭიდრო კონტაქტით. აქედან წარმოსდგება პარალელური შემოწმებანი, რომლებიც არაიშვიათად ხელს უშლიან საწარმოთა ნორმალურ მუშაობას. ერთობლივი დათვალიერებანი და რეიდები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, დახმარება საზოგადოებრივ კონტროლიორთა სწავლებაში — ყოველივე ეს წესად უნდა გახდეს ერთობლივ მუშაობაში.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა ყურადღება მიპყრობილია იმ ამოცანებზე, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის და თებერვლის პლენუმებმა დასახეს, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, მათი აქტივი მოწოდებული არიან განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისადმი მისი ინტენსიფიკაციის საფუძველზე. საწარმოში ეს არის ახალი მანქანების წარმოებისათვის მომზადება და მათი უსწრაფესი ათვისება, მოწყობილობის სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენება, მისი ეკონომიური საქმიანობის გაუმჯობესება, პროდუქციის ხარისხი, ლითონის ხარჯვის მოწესრიგება. კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ეს არის მოსავლის აღების სანიმუშოდ დამთავრება, საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება.

თქმა არ უნდა იმას, რომ, იყენებენ რა აღმზრდელობითს ღონისძიებებს, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ამასთან ერთად სასტიკ პასუხისგებაში უნდა აძლევდნენ იმათ, ვინც ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას, ეწევა ან ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების დატაცებას, ვინც მუქთახორად ცხოვრობს.

ხალხის მზირთა არმიაში დღეს ოთხ მილიონზე მეტი მცოდნე, უნარიანი, აქტიური მებრძოლია. მათ მოასწრეს ბევრი რამ გაეკეთებინათ: სიცოცხლე დაუბრუნეს ასობით ჩარხს, საწარმოებში გამოავლინეს უდიდესი რეზერვები, რომლებიც ამოქმედდნენ და ქვეყნისათვის იქცნენ ახალ მანქანებად, ელმავლებად, გემებად, გუთნებად. შეძენილი გამოცდილება, კარგი საქმეები მოწმობენ, რომ სახალხო კონტროლიორები კვლავაც ღირსეულად ატარებენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტიის ერთგულ და საიმედო თანაშემწეთა საპატიო წოდებას!

„იზვესტიის" მოწინავე.

# დაგელოცოთ მარჯვენა, მეჩაიეებო!

200.000 ტონა [illegible]

## ჩვენი სიტყვა და საქმე

[illegible]

...ნებით მოკრეფილია 2.100 ტონაზე მეტი ფოთოლი.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ს. ებრალიძე) კოლექტივმა. აქ პირველად შეიქმნა კომპლექსური მექანიზაციის რგოლები, რომლებმაც ჩაის პლანტაციებში ძირითადი სამუშაოები ხელის შრომის გამოუყენებლად, მანქანით შეასრულეს. ამით საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. საკრეფი მანქანის გამოყენებით ინგირელებმა ჯერ კიდევ 24 აგვისტომდე შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფს [illegible]

[illegible] ...ნდისა 0,5 ჰექტარი პლანტაცია ისე დაამუშავა, რომ უკვე უზრუნველყო 6.5600 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღება. ახლა ლ. სახოკია სეზონის დამთავრებამდე კიდევ 800 კილოგრამი ფოთლის მოკრეფას გვპირდება.

„მწვანე ოქროს" სიუხვისათვის ლაშქრობაში თამარ ყუფუნიას გამოუჩნ- [illegible]

## შრომა, სიხარული

[illegible]

...გადა (ხელმძღვანელი ო. გაბელია), ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მეორე აგროგანყოფილება (ხელმძღვანელი გ. სანაია) და სხვები. აღნიშნული ბრიგადების ხელმძღვანელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებია.

მოპოვებულ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ნოვატორ მეჩაიეებს, სახელოვან შუქურებს, რომელთა შორის კვლავ ბრწყინავს უფროსი თაობის წარმომადგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ტყებუჩავა. ასაკის მიუხედავად იგი კვლავ საპატიო ადგილს ინარჩუნებს. ბევრი ახალი სახელი შეემატა ნოვატორ მეჩაიეთა რიგებს მიმდინარე წელს. მათი რიცხვი ხუთასზე მეტია. განსაკუთრებით დაწინაურდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნათელა შენგელია და კლარა ბუკია, კოლმეურნეები თამარ გაბელია, მავრა ჭაავა, ეთერ ცირამუა, ლუსია გორდელაძე, მაფაშა ქუთელია. თვითეულ მათგანს დღემდე მოკრეფილი აქვთ 7-8 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში თავდადებულად შრომობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობა და ჩვენი სახელოვანი პედაგოგები. მათ ათასობით ტონა „მწვანე ოქრო" მოკრიფეს.

[illegible] ...ჩაის ფოთლის წარმოებას უახლოესი წლებისათვის 15-18 ათას ტონამდე ავიყვანთ. ჩვენი სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საამისო პირობები აქვთ. ამ საპატიო დავალებას ცხაკაიელი კომუნისტები და ყველა მშრომელნი პირნათლად შეასრულებენ.

საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ასევე წარმატებით შესრულდეს სიმინდის, ხორცის, რძის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებამ. საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მუშაკთა, რაიონის ყველა კომუნისტთა და საწარმოო სამმართველოს აპარატის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი აქტიურად რაზმავდნენ მშრომელებს წარმატებათა მოპოვებაში, იყვნენ შრომის ავანგარდში და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მეჩაიეებს. აი რამ განაპირობა გამარჯვება. ამ ნაცადი მეთოდების შემდგომი სრულყოფით კვლავაც წარმატებას მოვიპოვებთ და სასახელო წვლილს შევიტანთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ნ. შონია,
ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკაში. ფოტო ბ. სოკოლოვისა.

## ქართული კონსერვი

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს საჩხერის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. წლიური დავალება მან პირველი სექტემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა. 700 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 836 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილის წვენი.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 300 ტონა პროდუქცია.

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. საკონსერვო ქარხანამ წელს მომხმარებელს უნდა მიაწოდოს 1 მილიონ 320 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. ქარხნის კოლექტივმა კომპოტის გამოშვების წლიური დავალება 10 აგვისტოსათვის შეასრულა და წლიური გეგმის გადამეტებით 90 ათასი ქილა კომპოტი გამოუშვა.

აგვისტოში გეგმის ზევით გამოშვებულია 75 ათასი პირობითი ქილა დაკონსერვებული კიტრი.

დ. ჩუბინიძე.

ᲕᲐᲜᲘ. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი მოწონებით სარგებლობს ვანის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის მშრომელებს უკვე გაეგზავნათ ათობით ვაგონი კომპოტი, მურაბა, ხილის წვენი და სხვ.

მეკონსერვეებმა რვა თვის გეგმის გადამეტებით 342 ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვეს. შრომაში დაწინაურდა ინჟინერ-ტექნოლოგი შ. ერემეიშვილის ცვლა, რომელიც ახლა ოქტომბრის ანგარიშში უშვებს პროდუქციას.

მეკონსერვეებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ 600 ათასი მანეთი მოგება.

ბ. მჭავანაძე.

# მთების ძახილი

## ბარისახო-წუბროვანის გზის მშენებლობაზე

დუშეთში მითხრეს: — ახალი გზის მშენებლობაზე მივდივართ, დღეს უკანასკნელი კლდე უნდა ააფეთქონ.

სამიოდ საათში ხევსურთა ქალაქში — ბარისახოში ვიყავით. უკან მოვიტოვეთ ფშავის ულამაზესი ხეობა, სადაც საავტომობილო გზა ცოცხალ ფანჩატურში მიიკლაკნება. ბარში როგორადაც უნდა ცხელოდეს, აქ ყოველთვის გრილა. ეს არის მწვანე მთებისა და ახლართულ-დახლართული ბილიკების მხარე. აქ ადამიანის გულს ახარებს ბროლივით ანკარა წყაროები, ქოჩორა ტყეები და განსაკუთრებული სიჩუმე. თუმცა რა სიჩუმეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მთის გიჟმაჟი მდინარეები გაუთავებელი ღრიალით მიიკვლევენ გზას, როცა ოთხი არაგვის ხეობებში განუწყვეტლად გუგუნებენ ავტომანქანები, შორეულ ჭიუხებზე დროდადრო ისმის აფეთქების მძლავრი ხმები.

ამ გზაზე სიარული არასოდეს არ მოგწყინდება, მეტადრე თუ კარგი მეგზური შეგხვდება. აქ თვითეულ სოფელს თუ თვითეულ ციხეს თავისი ისტორია, თავისი თავგადასავალი აქვს, რომელთა მოსმენა თქვენს გონებაში აღადგენს წარსულის გმირულ სურათებს. მიჰყვებით გზას, და ფერდობებზე ხედავთ ცხვრის თეთრ ფარებს, ხედავთ ვიწრო ბილიკებზე ერბო-კარაქით დატვირთული ცხენების ქარავანს, რომელიც ფრთხილად ეშვება ხეობის სიღრმეში, ისმის მწყემსის სიმღერა და ჩხიკვთა ქორწილის მხიარული ხმები.

თანდათანობით უკეთესდება ფშავ-ხევსურეთის საავტომობილო გზა. შენდება ახალი ხიდები, იქვე მდინარის ნაპირას ამზადებენ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რომლებიც აწყობის შემდეგ ხიდის სახეს იღებს. წარსულს ბარდება რაჭველი ხელოსნების მიერ აგებული ხის ხიდები, რკინაბეტონისაგან შეკრული ხიდები ვაჟკაცურად აიტანენ არაგვის შემოტევას.

რაც მთავარია, შენდება ახალი გზები.

ყველაფერს თავისი ზრდის ზღვარი აქვს, მაგრამ გზისა რა მოგახსენოთ, იგი შეიძლება გაიზარდოს დაუსრულებლად, მხოლოდ ამისათვის საჭიროა ადამიანის შრომა, ტექნიკა, სამშენებლო მასალები. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი მოთხოვნაა გზებზე. გზა ქვეყნისათვის იგივეა, რაც სისხლძარღვები ცოცხალი ორგანიზმისათვის. რაც უფრო მძლავრია სისხლმიმოქცევა, მით უფრო ძლიერია ორგანიზმი. კარგი გზები ქვეყნის სიმდიდრე და სიამაყეა.

ყველაფერზე შეუძლია ადამიანს იოცნებოს, ყველაფერი წარმოიდგინოს, მაგრამ ამ ორმოციოდე წლის წინათ არავის არ შეეძლო ეფიქრა, რომ ხევსურეთში, კლდეებისა და ორწოხების სამფლობელოში საავტომობილო გზას გაიყვანდნენ. მამაცი ადამიანების შესანიშნავი ბუდე — ხევსურეთი მოწყვეტილი იყო გარეშე სამყაროს და საკუთარ უბედობაზე თუ გაჭირვებაზე გულჩათხრობილი მხარის დამხმარე და ხვაშიადის გამზიარებელი არავინ იყო.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე.

თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ხევსურთა გასაჭირი, იცოდნენ, რომ ხევსურეთი მარტო რომანტიკისა და ეგზოტიკის ქვეყანა როდი იყო, არამედ სიდუხჭირის კუთხეც. წაიკითხეთ ვაჟას ფელეტონები ხევსურეთზე, და მიხვდებით, რა მწარე იყო იმ დრო იქაურების ხვედრი.

დასრულდა მთების მოლოდინი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხევსურეთმაც გაშალა ვაჟკაცური მხრები, ის დაჯერებით მიაბიჯებს ახალი ცხოვრების ნათელ გზაზე, იმსხვრევა ძველი ადათწესები, იზრდებიან ახალი ქვეყნის ახალი ადამიანები, ხევსურეთი ამაყობს თავისი ინტელიგენციით, ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებიც თამამად მიაბიჯებენ მეცნიერების მწვერვალთა ციცაბო ბილიკებზე.

და როცა ამაზე ფიქრობ, მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ მთიელთა წინსვლაში დიდი როლი შეასრულა ფშავ-ხევსურეთის გზამ, რომელიც ამ ოცდახუთი წლის წინათ გაიყვანეს.

მაგრამ ხევსურეთის დიდი ნაწილი მაინც უგზოობით იყო შეწუხებული, განსაკუთრებით კი პირიქით ხევსურეთი, რომლის ბილიკებზე სიარული სახიფათო და საშიში საქმეა, გამოუყენებელი რჩებოდა ათასობით ჰექტარი საძოვარი. მერე და რა საძოვარი. ცხვრისა და ძროხის ნამდვილი სუფრა. უგზოობის გამო, მთებში ბევრს უბრალო ურმის თვალზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

დასრულდა ხევსურთა ოცნება, ორიოდე წლის წინათ განახლდა ადრე დაწყებული ბარისახო — წუბროვანის გზის მშენებლობა. მიუვალ მთებში კვლავ გაისმა აფეთქების ხმები, ბულდოზერებისა და ავტომანქანების გუგუნი, მშენებელთა ვაჟკაცური ყიჟინა. ინგრეოდა უზარმაზარი კლდეები, მთებმა თითქოს და არ იცოდნენ, რა სასიკეთო საქმეს აკეთებდნენ მშენებლები და თავიანთ მრისხანებას არ აკლებდნენ მათ. კოკისპირული წვიმებით, ღვარცოფებით, თოვლით და სეტყვით სურდათ შეეჩერებინათ მთებთან შედარებით ჭიანჭველას ტოლა არსებანი, რომლებიც ჯიუტად მიიწევდნენ წინ, კავკასიონის უბე-კალთებში, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე მთებმა იგრძნეს, რომ ახალ გზას ცხოვრების ახალი სიო მოჰქონდა მათთან და დამშვიდდნენ, აღარ გზავნიდნენ ზვავეზსა და მეწყერს ღრმა ხეობებში, სადაც ახალი გზა იჭრებოდა, ახლა მთები თითქოს ღიმილით დასცქერიან მშენებელთა შრომას, როგორც თეთრწვერა მოხუცები შეჰხარიან ხოლმე შვილიშვილების კეთილ საქმეებს.

...გავიარეთ კორშა. გვერდზე დარჩა ლიქოკის ჭალა თავისი მოხატული მინდვრებით, და ცოტა ხნის მერე იმ ადგილს მივადექით, სადაც ბუნების მრისხანების დროს ტრაგიკულად დაიღუპა ხევსურეთის გზის მშენებლობის ერთი პირველი ვეტერანი, ინჟინერი ვანო გეჯაძე. ის იყო ჭეშმარიტად დაუღალავი კაცი, მშენებლობის ენთუზიასტი, მამაცი ინჟინერი. წლების მანძილზე მთებში ტრიალებდა, და სწორედ მთებმა აღარსად გაუშვეს იგი და თავიანთ მკერდში ჩაიხუტეს. რა კარგი იქნებოდა მისი დაღუპვის ადგილას პატარა მემორიალურ დაფას რომ დადგამდნენ.

აგერ როშკის წყალზე აგებული ახალი ხიდი. მარცხნივ, მდინარის გაღმა იწყება ვიწრო ბილიკი, რომელსაც ზემოთ, ცისა და მიწის შეერთებასთან—როშკაში მივყევართ. იქ არის გაშლილი კლდეთა ქალაქი, ათიოდ კილომეტრზე გადაჭიმული ველი, რომელიც სავსეა მყინვარის უზარმაზარი ლოდებით, ზოგი მათგანი ორსართულიან სახლსა ჰგავს, ზოგი ტაძრის გუმბათს, ერთ ლოდს ცხენიან კაცსაც ამსგავსებენ. როშკის ბილიკს თუ ბოლომდე მივყვებით, სოფელ არხოტში მივალთ, რომელიც ორბის ბუდესავით გადმოჰყურებს მთელ ხევსურეთს.

ხიდს ჯორებზე ამხედრებული ხევსურები მოუახლოვდნენ და ავტომანქანაც შევაჩერეთ, შეუჩვეველი ჯორაკები შეიძლება დაფრთხნენო. ვიცანით ნაცნობი ახალგაზრდები, და-ძმა ბიძინა და ნანა დაიაურები სოფელ მუცოდან და სამძიმარი და მზექალა მინდიაურები სოფელ ხახაბოდან. ისინი დუშეთის ბაზრობაზე მიიჩქაროდნენ.

უკან დარჩა ჩირდილი, ოხერხევი, გამოჩნდა ბისო, გვერდზე რჩება გუდანი, ჩვენს წინაშეა ხახმატი. ახალი გზა სწორედ ხევსურულ ქოხებს მისდგომია, და სახლების ნაწილი დაუნგრევიათ კიდეც, ზღაპრული ალქაჯივით დაუღიათ ხახა მჭვარტლით გაშავებულ ქოხებს, სამაგიეროდ არაგვს გაღმა მოჩანს ორსართულიანი, ქალაქური ტიპის ახალი სახლი, რომელსაც რამდენიმე კაცი შესევია და ლითონის სახურავს აფარებს, ეს სახლი პირველი მერცხალია, მალე ასეთი სახლებით დამშვენდება ხევსურეთის სოფლები.

მე მგონია, ესეც ახალი გზის ნაყოფია.

სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ. ნეტარებაა აქაური ჰაერის სუნთქვა. იგი ათასნაირი ყვავილების სურნელებით არის შეზავებული. აგერ დეკა, ხუჭუჭ ქოჩრად რომ მოსდებია ველკეთილის ფერდობს, აგერ პირიმზე, ღვია... ვაჟას საყვარელი მცენარეები. გასაგებია რატომ ინატრა დიდმა მგოსანმა სიკვდილის წინ მთის ყვავილები და მწვანე ფოთლები.

მარჯვნივ ღრმა ხევია, ღულის ჭალად წოდებული. თითქოს აქ დაიბადა ხალხური ლექსი: შავ კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩაეჭანება, ჩავა და ლეშით გაძღება, ამოსვლა დაეზარება... ხევის სიღრმე მართლა შავი როდია, იგი ნაზვავური თოვლით არის სავსე. თეთრი ფერი ადევს ველკეთილის იმ ადგილებს, სადაც ათასიანი ცხვრის ფარები გაშლილან. გზის გადაღმა ბატკნის ფარა სძოვდა ნოყიერ ბალახს, ფარის გვერდით ორნი ისხდნენ, ერთი მათგანი ზემოქედელი მწყემსი გურამ წამალაიძე აღმოჩნდა, მეორე კი გიორგი ზვიადაური.

ეტყობა, მანქანა დაიღალა, მთაში მიმავალი კაცივით სუნთქვას უმატა, მერე ცოტა ხნით შევჩერდით და უკან მოვიხედეთ. ძნელია გადმოგცეთ დიდებული სანახაობა, რომელიც ველკეთილიდან არის გადაშლილი. მზის სხივებშია გახვეული ნახევარი ხევსურეთი, შორს იისფერ ნისლში მოჩანს გოლიათი მთები, ზოგს ახლაც ახურავს თოვლის ყაბალახი. ამაყად დგანან დათოვლილი ჭიუხები. იქ, კლდოვან ორწოხებში, ბინადრობენ ჯიხვები. მწვანე ფერი ასვენებს კაცის თვალს. ქვემოთ, არაგვის სიღრმეში პაწაწკინტელა ცხენოსნები მიჰყვებიან ბილიკს. მინდა შევძახო: — რა მძლავრები ხართ, მთებო! თქვენთან შედარებით აბა რანი არიან ადამიანები, მაგრამ ჩვენ მაინც გამარცხებთ. რას იზამთ, დევკაცებო, ადამიანი ბუნების მბრძანებელია და მას უნდა ემორჩილოთ, ასეთია ცხოვრების კანონი.

ელვასავით დაკლაკნილი გზა მიყვება ველკეთილის ფერდობებს. შორიდანვე გვესმის ბულდოზერების გუგუნი. უკან ბრუნდებიან თვითსაცლელი მანქანები. ზემოდან დაგვცქერის დათვისჯვრის უღელტეხილი, რომელზეც გადაკიდულია უზარმაზარი ხურჯინის ორი თვალი — პირიქით და პირაქეთ ხევსურეთი. სწორედ იქ უნდა გაიაროს ახალმა გზამ.

ნაშუადღევს დათვისჯვართან სიწყნარე ჩამოვარდა. მშენებლებმა მყუდრო ადგილს შეაფარეს თავი, ბულდოზერები და ავტომანქანები კლდის ძირს გასცილდნენ. მხოლოდ ერთი კაცი არ შორდებოდა იმ ადგილს. ის გახლდათ ამფეთქებელი ოსმან რაჯაბოვი. იგი დიდიხანია ამ გზაზე შრომობს. შეჰყვარებია ოსმანს საქართველოს მთები და საცხოვრებლადაც მთა აურჩევია, ბარისახოში საკუთარი სახლი აქვს, ქართველი მეუღლე ჰყავს და ქართველი ძმაკაცები.

რაჯაბოვმა კლდეს ახედა, რომლისთვისაც ამონალით უნდა შეენგრია მკერდი, ახედა და თითქოს მოკრძალებით თქვა: — რა ვქნა, ყონაღო, შენი ბედი ეგ ყოფილა, უნდა დაანგრიო, ახალ გზას შენია უშლი ხელს... მერე ასანთით პატრუქს მოუკიდა და სირბილით თავშესაფარში დაეშვა.

მთებმა იგრძნეს საშიშროების მოახლოება და მოლოდინში გაირინდნენ, პატარა, ნაცრისფერი ბოლი მისდევდა პატრუქს, გავიდა წამები, ერთი წუთი, ორი და... ჯერ ზეცაში მოწითლო მტვრის სვეტი ავარდა და მერე ათასმა ზარბაზანმა დაიქუხა, ვეებერთელა ქვები გრუხუნით დაეშვა ხეობის სიღრმეში, ქუხილი ერთ განუწყვეტელ ექოდ იქცა, რომელიც გადავიდა მთიდან მთაზე, ხევიდან ხევში და ბოლოს სადღაც ვაკეებში გადაიკარგა.

ეს იყო უკანასკნელი აფეთქება ბარისახო-წუბროვანის გზაზე.

მერე კვლავ აგუგუნდნენ მძლავრი ბულდოზერები. ისინი ზღაპრული ცხოველებივით კვნეტდნენ კლდეებს და უზარმაზარ ლოდებს უფსკრულში ყრიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა გზა გაიწმინდა, ჩვენი მანქანა კვლავ ყრუ გუგუნით შეუდგა აღმართს და ათიოდ წუთში დათვისჯვარზე, ზღვის დონიდან 2.800 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით.

აქედან გზა ეშვება შატილის ხეობის სათავეში, იქ, სადაც იბადება მდინარე არღუნი. წუბროვანთან ახლო მომავალში მოეწყობა მომთაბარე ვეტერინარული პუნქტი, აშენდება მწყემსთა სახლი, გაიხსნება მაღაზია, პურის საცხობი, საექიმო პუნქტი, დაწესდება რეგულარული საავტობუსო მიმოსვლა.

უკანასკნელი აფეთქების საზეიმო წუთებში გავიხსენეთ ადამიანები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გზის მშენებლობაში. საქართველოში იშვიათია მწყემსი, ვლადიმერ კობახიძეს რომ არ იცნობდეს. იგი ოცდაათ წელიწადზე მეტია მომთაბარე მეცხვარეობის საქმეს ხელმძღვანელობს. ტყუილად კი არ ეძახიან მას საქართველოს თავჩობანს. მისი მეცადინეობით ბევრი რამ გაკეთდა ცხვრის გადასარეკი ტრასების კეთილმოწყობისათვის. ერთი მათგანია ბარისახო-წუბროვანის გზაც.

საშვილიშვილო საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობს № 2 საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსი, გამოცდილი გზათამშენებელი ტერენტი ქათამაძე და მშენებლობის უფროსი ზურაბ თარხნიშვილი.

მთელი ხევსურეთი იცნობს შეუდრეკელ ვაჟკაცებს, ბულდოზერისტებსა და შოფრებს შოთა სელიმაშვილს, შალვა პეტრიაშვილს, შალვა სადოშვილს, გოგი ზაზაშვილს, პავლე ბექანიშვილს, ადამ არაქელაშვილს, ხევსურებს — ძმებს გელა და ირაკლი არაბულებს, გოგი არაბულს, გიორგი მარგიანს, ნიკოლოზ მამედოვს და მრავალ სხვას, მთებთან ჭიდილში გამარჯვებულ ადამიანებს.

ბარაქალა მათს მარჯვენას!

ბარისახო-წუბროვანის გზა ჯერ არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული, მიუხედავად ამისა, იგი მალე გაატარებს პირველ ავტომანქანებს. მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გადავცე მთათა ძახილი:— მობრძანდით, გვნახეთ, კეთილი სტუმრისათვის მუდამ ღიაა თვითეული ხევსურის სახლიც და... გულიც.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲘᲡᲐᲮᲝ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ახალი ხევსურეთის გზაზე როშკის წყალთან.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

## თქვენთვის, მშენებლებო!

— ᲛᲔᲢᲘ და მაღალი ხარისხის საშენი მასალა მშენებლებს! ასეთი დევიზით შრომობს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივი და წარმატებასაც აღწევს. ამ წარმოების ტერიტორიიდან აგურით დატვირთული ავტომანქანების კოლონები ყოველდღიურად მიემართებიან მშენებლობისაკენ.

კომბინატმა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება, ყველა სახეობის მიხედვით, 105,9 პროცენტით გაანაღდა.

აქ ბევრი მოწინავე საამქროა, მაგრამ რვა თვის მაჩვენებლების მიხედვით დაწინაურდა საბურთალოს აგურის წარმოების საგამოწვო საამქრო, რომელსაც ლ. ცხომელიძე უძღვება. ამ საამქრომ რვა თვეში მშენებლებს გეგმის გადამეტებით 583 ათასი ცალი წითელი აგური გაუგზავნა. საამქროში მოწინავეა ო. მაჩიტაძის ცვლა, რომელმაც რვა თვის დავალება 106,7 პროცენტით გაანაღდა.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# დაკარგული სახელი

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 30 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო გორის საწარმოო სამმართველოს ქარელის, ზეღდულეთისა და ქვეშის კოლმეურნეობების შუქურების გ. სიხაშვილის, გ. ცერცვაძის, მ. რჩეულიშვილის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები. გაკრიტიკებული იყო აგრეთვე გორის საწარმოო სამმართველო და პარტიული კომიტეტი იმის გამო, რომ იქ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების საქმეს.

გორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურომ განიხილა კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები, სწორად ცნო კრიტიკული შენიშვნები და მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ:

გაზეთ „კომუნისტის" 1964 წლის 30 ივლისის ნომერში დაბეჭდილია წერილი „დაკარგული სახელი", სადაც სამართლიანად არის გაკრიტიკებული ქარელის, ზეღდულეთისა და ქვეშის კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების საქმეს.

ფლავის, აბისის, ახალუბნის, ქახვრელის, მერეთის, ხელთუბნისა და სხვა კოლმეურნეობებში არიან თვალსაჩინო შუქურები (მეჭარხლეები, მესიმინდეები, მეხილეები, მებოსტნეები), რომლებიც სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით წლების მანძილზე უხვ მოსავალს იღებენ, მაგრამ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მათი სასარგებლო გამოცდილება ყველას კუთვნილება გახადონ.

ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ცუდად იყენებს ან სულაც არ იყენებს ახალ ტექნიკას. ვარიანის საბჭოთა მეურნეობასა და მეჯვრისხევის კოლმეურნეობას უმოქმედოდ უდგათ „ბსო-4" მარკის ბადისებრი ფარცხი. კარალეთის, ქიწნისის, ხურვალეთის, ბერბუკის საბჭოთა მეურნეობებმა შეიძინეს ჩითილის სარგავი „სკნბ-4" მარკის მანქანები. მათი გამოყენება მხოლოდ ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობაში შეძლეს, სხვაგან კი არც უცდიათ ამ მანქანების გამოყენება.

ქარელის, ზეღდულეთის, ქვეშის კოლმეურნეობათა გამგეობებსა და პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ შეისწავლონ შუქურების გ. სიხაშვილის, გ. ცერცვაძისა და მ. რჩეულიშვილის მოწინავე გამოცდილება, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან მათი გამოცდილების გავრცელების საქმეში არსებული ხელშემშლელი მიზეზები და მოწინავეთა გამოცდილების პასიური პროპაგანდიდან გადავიდნენ აქტიურ,შემტევ პროპაგანდაზე.

საწარმოო სამმართველოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის საქმეს. მოაწყონ სემინარები, შეხვედრები შუქურებთან, შექმნან მოწინავეთა გამოცდილების სკოლები და ამ გზით ყოველნაირად შეუწყონ ხელი შუქურების გამოცდილების გავრცელებისა და ცხოვრებაში დანერგვის საქმეს იმ ვარაუდით, რომ მოწინავეთა გამოცდილება საყოველთაო-სახალხო კუთვნილება გახდეს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეს.

# ბულგარელი ხალხის დიდი დღესასწაული

საუბარი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ამხ. ს. კარაჯოვთან

[illegible]
სა და დამოუკიდებლობის, სოციალისტური მშენებლობის, სამშობლოს პროგრესისა და აყვავების გზას.

თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით 1944 წლის 9 სექტემბრის სახალხო აჯანყება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ეპოქალური საქმის გაგრძელებაა. დიდმა ოქტომბერმა ღრმა გამოხმაურება ჰპოვა ბულგარეთის მიწაზეც. 9 სექტემბრის გამარჯვებით, ისევე როგორც დიდი ოქტომბრის გამარჯვებით დასაწყისი მიეცა ღრმა გარდატეხას ბულგარეთის ისტორიულ განვითარებაში, სამუდამოდ მოეღო ბოლო შავბნელ ფაშისტურ მონობას და გზა გაეხსნა სოციალიზმის აშენებას ბულგარეთში.

9 სექტემბრის ისტორიული დღის მნიშვნელობა კიდევ უფრო მკაფიოდ ისახება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებათა ფონზე. მას შემდეგ მხოლოდ 20 წელი გავიდა, მაგრამ უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებით, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით ეს დრო უდრის მთელ ეპოქას ჩვენი ქვეყნის უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ღრმა რევოლუციური გარდაქმნები განხორციელდა. სოციალიზმი საბოლოოდ და სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში. ჩამორჩენილი აგრარული სახელმწიფოდან, რომელსაც წვრილი დაქუცმაცებული მიწათმოქმედება ჰქონდა და თითქმის არ მოეპოვებოდა მრეწველობა, დღეს ბულგარეთი გადაიქცა თავისუფალ დამოუკიდებელ სოციალისტურ ქვეყნად, სადაც სწრაფად ვითარდება მრეწველობა, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, სადაც მაღალი სოციალისტური კულტურაა და განუწყვეტლივ იზრდება ხალხის კეთილდღეობა.

განვლილ 20 წელიწადში, რომელთაგან სამი წელიწადი მოუნდა დანგრეული მეურნეობის აღდგენას, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 17-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

ამჟამად მარტო 18 დღეში ჩვენი ქვეყანა აწარმოებს იმდენსავე პროდუქციას, რამდენსაც კაპიტალისტური ბულგარეთი მთელ 1939 წელს აწარმოებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური ბულგარეთის ერთი შრომითი დღე უდრის ბურჟუაზიული ბულგარეთის 20 შრომით დღეს, ახალი ბულგარეთის ერთი ნაბიჯი — ძველი ბულგარეთის 20 ნაბიჯს. სახალხო ხელისუფლების წლებში ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 27-ჯერ, ქვანახშირისა — 10-ჯერ, შავი ლითონებისა—88-ჯერ, ტყვია-თუთიის კონცენტრატებისა—42-ჯერ, მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია—139-ჯერ, ქიმიური და კაუჩუკის მრეწველობისა—55-ჯერ. ეს დამაჯერებელი ციფრებია, რომლებიც ეროვნულ სიამაყეს იწვევენ.

სახალხო მეურნეობის განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება შეუძლებელია ისე, თუ სწრაფად არ ვითარდება ენერგეტიკა. სწორედ ამიტომ ენერგეტიკის განვითარება პარტიისა და მთავრობის პირველი რიგის საზრუნავია.

ამჟამად, 1964 წელს, დაახლოებით 30-ჯერ მეტ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ, ვიდრე 1939 წელს. სხვანაირად რომ ვთქვათ — მარტო 9-10 დღეში ჩვენ ვაწარმოებთ იმდენ ელექტროენერგიას, რამდენიც წარმოებული იყო მთელ 1939 წელს. დღეს ბულგარეთი აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მისი სამხრეთი მეზობლები — საბერძნეთი და თურქეთი — ერთად, მაშინ როცა 1939 წელს თვითეული ეს ქვეყანა ცალკე აწარმოებდა მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ბულგარეთი.

სახალხო ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მონაპოვარია სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. 1944 წლის 9 სექტემბრამდე ბულგარეთი წვრილი პრიმიტიული, დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო. ამჟამად წვრილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის ადგილას გაიზარდნენ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სოციალისტური საწარმოები. ბულგარეთის სოფლის მეურნეობა გადაიქცა მსხვილ მაღალმექანიზებულ და მეცნიერულად ორგანიზებულ სოციალისტურ სოფლის მეურნეობად. თუ 1939 წელს ჩვენ მხოლოდ 3-4 ათასი ტრაქტორი გვქონდა, მიმდინარე წლის დამდეგისათვის მათმა რაოდენობამ (15-ძალიანზე გადაყვანით) 56 ათასს მიაღწია, სატვირთო ავტომანქანების რიცხვმა — 12 ათასს, კომბაინების რიცხვმა—აგრეთვე 12 ათასს. 10 წლის განმავლობაში 100 ჰექტარ დამუშავებულ მიწაზე მექანიკური ძრავების რაოდენობა 5-6-ჯერ გადიდდა.

სახალხო ხელისუფლების წლებში სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ცხადყო თავისი დიდი უპირატესობანი კაპიტალისტური და წვრილი სოფლის მეურნეობის წინაშე. ომამდელ დონესთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქცია მნიშვნელოვნად გადიდდა. განსაკუთრებით გაიზარდა ხილისა და ბოსტნეულის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვ. წარმოება. გადიდდა ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირას საშუალო მოსავალი. 1934-1939 წლების პერიოდთან შედარებით პამიდორის წარმოება 1958-1961 წლებში გადიდდა დაახლოებით 14-ჯერ, შაქრის ჭარხლისა—თითქმის—10-ჯერ, თამბაქოსი—ერთიორად და მეტად, მზესუმზირასი — დაახლოებით ერთიორად და სხვ.

რესპუბლიკაში განუწყვეტლივ დიდდება ეროვნული შემოსავალი და მშრომელთა რეალური შემოსავალი, უმჯობესდება მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები და მათი ჯანმრთელობა.

შესანიშნავია ჩვენი ქვეყნის წარმატებანი სოციალისტური კულტურული რევოლუციის განვითარებაში. წერა-კითხვის უცოდინარობა საბოლოოდ ლიკვიდირებულია. მოსწავლეთა პროცენტის მიხედვით ბულგარეთს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენს ქვეყანაში ყოველი მეექვსე კაცი სწავლობს. გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა. სტუდენტთა რაოდენობით ბულგარეთმა გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა.

სახალხო ხელისუფლების წლებში ძირეული ცვლილებები განიცადა იდეოლოგიურმა და კულტურულმა ფრონტმა. მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. მუშათა კლასის იდეოლოგიიდან იგი სულ უფრო იქცევა მთელი ხალხის იდეოლოგიად.

ჭეშმარიტად უდიდესია წარმატებანი ბულგარეთის სოციალისტურ განვითარებაში, რომლებიც მიღწეულია სახალხო ხელისუფლების სახელოვანი 20 წლის მანძილზე. ისინი შედეგია ბულგარეთის მუშათა კლასის, მთელი ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის. მთელი ჩვენი მონაპოვარნი და გამარჯვებანი სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე შედეგია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, დიმიტრ ბლაგოევისა და გიორგი დიმიტროვის სახელოვანი პარტიის ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობისა. პარტია დაუღალავად უჩვენებს ბულგარელ მშრომელებს სწორ გზას და მტკიცე რწმენით მიჰყავს ისინი წინ.

დიდ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გზაზე ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დანარჩენ სოციალისტურ ქვეყნებთან ძმურ თანამშრომლობასაც და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის უდიდეს, გულუხვ და უანგარო დახმარებას. ბულგარეთის განვითარება სოციალიზმის გზით, მთელი ჩვენი ცხოვრების—პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრების განვითარება—მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცხოველმყოფელ სხივებქვეშ. დღეს სრულებით შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სოციალისტური მშენებლობა ბულგარეთში და ჩვენი წარმატებანი სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საბჭოთა კავშირის მხრივ ყოველმხრივი და უდიდესი დახმარება რომ არ გვქონდეს. ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი კუთხე, სადაც ღრმად არ აღწევდეს საბჭოთა დახმარების, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცხოველმყოფელი შუქი. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელი ისტორია საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა ხალხებთან ძმური მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ისტორიაა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას მტკიცედ უჭირავს თავისი ადგილი სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახში, მხარდამხარ მიჰყვება მძლავრ და უძლეველ საბჭოთა კავშირს. თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ცენტრში მტკიცედ, ძლიერად და ამაყად დგას საბჭოთა კავშირი — მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც ააშენა სოციალისტური საზოგადოება, ახლა კი ყველა ხალხს უკაფავს გზას კომუნიზმისაკენ. საბჭოთა კავშირის გრანდიოზული წარმატებანი ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურასა და განათლებაში უდიდეს აღტაცებას იწვევენ არა მარტო ბულგარეთის მშრომელთა შორის, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია მუდამ სწავლობდა და სწავლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებაზე. ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირი და სკკპ გზის მანათობელი ვარსკვლავი და შრომასა და ბრძოლაში შთამაგონებელი მაგალითია. სკკპ XX და XXII ყრილობათა დიადი ისტორიული საქმე ჩვენც გვიშუქებს გზას კომუნიზმისაკენ. ბულგარელ კომუნისტებს, მთელ ჩვენს ხალხს სკკპ პროგრამა მიაჩნიათ თავიანთ პროგრამად, რომელიც გვინათებს წინსვლის გზას, მთელ ჩვენს განვითარებას. ჩვენ სამუდამოდ დაკავშირებული ვართ საბჭოთა კავშირთან და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. მსოფლიოში არაფერს არ ძალუძს გაგვთიშოს ჩვენ ან ჩრდილი მიაყენოს ჩვენს მეგობრობას.

სწორედ ამიტომ სოციალისტური რევოლუციის მეოცე წლისთავის საიუბილეო დღეებში ბულგარელ ხალხს კიდევ უფრო მაღლა უჭირავს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დროშა, კიდევ უფრო მტკიცე რწმენით მიდის თავისი ძმისა და ორგზის განმათავისუფლებლის — დიადი საბჭოთა კავშირის მხარდამხარ, კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს თავის რიგებს დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ავანგარდის რიგებთან.

# მეგობრობის დღეები...

## სტუმრად მოძმე ბულგარეთში

როგორც კი ქალაქ რუსესთან მეგობრობის ხიდით გადავკვეთეთ წყალუხვი მდინარე დუნაი, თვალწინ შესანიშნავი პეიზაჟი გადაგვეშალა: ღრუბლებში შეჭრილი თოვლიანი მწვერვალები, მწვანე ხეივნებში ჩაფლული ქალაქები, სოფლები; ბაღ-ბოსტნებით, დახუნძლული ვაზებით დახატული ფერდობები, დაბლობები...

ყველგან გულთბილად გვესალმებოდნენ ბულგარელი მეგობრები საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებს — ქართველ ტურისტებს. შავი ზღვის ოქროს ნაპირის შესანიშნავ კურორტ ვარნადან პირველად ბარაქით სავსე სოფელ ბოგოტოვოში მოვხვდით.

ამ სოფლის მკვიდრმა, შავგვრემანმა ჭაბუკმა ნიკოლა ბოტევმა სტუმრებს ღვინით სავსე ყანწი მოგვაწოდა:

— დაგვილოცეთ მიწა-წყალი, კარიბჭე!

დავლოცეთ და დღეგრძელობა ვუსურვეთ ბულგარეთის სახელოვან ხალხს, სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხს.

დამხდურებმა გულითადად აღდეგრძელეს გმირი საბჭოთა ადამიანები. ქართველ მევენახეებზე ვრცელი სიტყვა ითქვა. როგორც ცნობილია, ამ სამი წლის წინათ საქართველოდან ბულგარეთში გაიგზავნა რქაწითელისა და ჩინურის ჯიშის ორმოცდაათი ათასი ძირი ვაზი.

ფაქტების ენით გვაცნობდა სოფლის ავ-კარგს კოოპერატივის პარტიული კომიტეტის მდივანი ნიკოლა ბოტევი.

— ქებად არ ჩამომართვათ, — ჩაერია საუბარში კოოპერატივის მთავარი აგრონომი ივანე პეტროვი, — ჩვენებური, ბულგარული პამიდორი მსოფლიოშია ცნობილი. ქართულ მიწაზეც, ვფიქრობ, კარგად გაიხარებს, წაიღეთ თესლი...

კარგის დანერგვის მაგალითი მეგობართა ღირსების საქმეა. ბულგარელებმა ვაზის ნამყენი საქართველოში გამოგვიგზავნეს. შესანიშნავი მტევნები დაისხეს მათ კახეთში, მარნეულში, მცხეთაში.

როგორც ცნობილია, ბულგარულმა ღვინომ „გამზამ" 1958 წელს ბუდა-[illegible] ოქროსა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ენით აუწერელი იყო ჩვენი თანამემამულის ემზერ ჭელიძის აღტაცება.

— ნამდვილად ის არის, ის, — დაიძახა და გადაეხვია, გადაკოცნა ბულგარელი მასპინძელი ექიმი ნიკოლა მუსარსკი.

1963 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი ემზარ ჭელიძე ცოდნის ასამაღლებლად მშობლიურ მოსკოვს ეწვია. სწორედ იქ შეხვდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ექიმ ნიკოლა მუსარსკის, რომელიც სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციის მოსამზადებლად ჩასულიყო.

ე. ჭელიძემ საქართველოში მიიპატიჟა ბულგარელი სტუმარი. ერთად დაათვალიერეს მთაწმინდა, თბილისის ზღვა, სვეტიცხოველი, რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები. ახლა კი გულუხვი იყო ჩვენი მასპინძელი ვარნაში.

— მეგობრობა გზად და ხიდადო, უთქვამს დიდებულ შოთა რუსთაველს, ასეც არის — გვითხრა ნიკოლა მუსარსკიმ და ფაქიზად შენახულ „ვეფხისტყაოსნის" ეგზემპლარზე მიგვითითა. საგანგებოდ ინახავს იგი ამ წიგნს.

ჩვენ მას ვუამბეთ კლასიკოსების ხრისტო ბოტევის, ივანე ვაზოვის, სხვა ბულგარელ მწერალთა შესახებ, რომელთა ნაწარმოებები ქართველმა პოეტებმა ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ თარგმნეს და რომლებიც ქართველ მკითხველთა საყვარელ პოეტებად იქცნენ.

სოფიაში ვეებერთელა ძეგლია აღმართული, რომელზეც ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული: „საბჭოთა არმიის მებრძოლები — ბულგარელი ხალხის გამანთავისუფლებლები. ბულგარელი ხალხისაგან". ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ თანამემამულეთა საფლავები. მამაცი ბულგარელი მეგობრები დიდი პატივისცემით ეპყრობიან გამარჯვების, ურღვევი მეგობრობის, დიდების ამ ძეგლს.

ამ ძმობის, გულითადობის ქალაქში კიდევ ერთი დაუვიწყარი ეპიზოდის მოწმენი გავხდით.

თბილისელი ტურისტი ინჟინერი ნოდარ კობახიძე ქალაქ სოფიაში მეტისმეტად აკვირდებოდა ხანძიშესულ ქალებს. ბიჭო, სიძერემ ხომ არ გიყია, — შეეხუმრა ჩვენი ტურისტთა დელეგაციის ხელმძღვანელი ოთარ სოხაძე.

გული სხვას მეუბნება, გვითხრა, თან უბის წიგნაკში რაღაც ჩანაწერს ათვალიერებდა.

თვალები გაუბრწყინდა. თმაშევერცხლილმა დედაკაცმა თავი ვერ შეიკავა, ცრემლი მოადგა:

— ეს შენა ხარ, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ნოდარი! — დაიძახა მოხუცმა მანდილოსანმა და ქართველ ვაჟკაცის მკერდზე აქვითინდა: — ჩემი ბიჭუნა...

მართალი გითხრათ, გაოგნებული დავრჩით. ეს იყო უცნაური შეხვედრა, დაუვიწყარი წუთები...

ნოდარ კობახიძემ ოდესღაც დაკარგული მამიდა სოფიაში იპოვა. ახალგაზრდა ნინო კობახიძე 1915 წელს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ცოდნის მისაღებად. იქ სასწავლებელში გაეცნო და დაუახლოვდა უკრაინელ ვასილ კობილკოს. დაქორწინდნენ და საცხოვრებლად ქალაქ ნიკოლაევში გაემგზავრნენ. შემდეგში კი ნინო მეუღლესთან ერთად ქალაქ სოფიაში მოხვდა.

საამაყო და სასახელოა! ქართველი ქალი ნინო კობახიძე წლების მანძილზე, სანამ პენსიაზე გადავიდოდა, სოფიის უნივერსიტეტში რუსულ ენას ასწავლიდა ბულგარელ ახალგაზრდობას.

ნინომ ქართული პურმარილი გაშალა. ქართული სიმღერები ბულგარელ პარტიზანთა საყვარელმა სიმღერამ „ეი პოლეშკომ" შეცვალა. ვმღეროდით ყველანი.

ბალკანეთის მთებში ვნახეთ უღელტეხილი, სადაც აღმართულია ისტორიული ძეგლი. სწორედ ამ ადგილებში თურქეთის პირისხლიან დამპყრობთა ბანდები გაალამტვერა ბულგარელი ხალხის მეგობარმა — რუსეთის სახელოვანმა არმიამ.

დიდებულ ძეგლს აწერია: „ბულგარელო! თავი დახარე წმიდათა-წმიდა ძეგლის წინაშე. ეს რუს-ბულგარელის სისხლით შედუღაბებული მეგობრობის ნიშანია".

ვინც დაიღუპა თავისუფლებისათვის, იგი არ კვდება, ასე უთქვამს ბულგარეთის დიდ პოეტსა და მოქალაქეს ხრისტო ბოტევს.

პლოვდივის მახლობელ ფერდობზეც უამრავი ისტორიული ძეგლებია. ქალაქი მთებით ლამაზად არის მოქარგული. მთაწმინდის მიდამოს მაგონებს, — თქვა თანამემამულემ ტურისტმა ვახტანგ ნინოშვილმა.

მართლაც, თბილისის მსგავსად ბუნებრივ სილამაზეს ქარხანათა მილებიც ჰმატებენ მშვენებას. აქ არის ჩეტოსარემონტო, მანქანათსამშენებლო ქარხნები და ფეხსაცმლის ფაბრიკები.

პლოვდივის მთაზე საბჭოთა მეომრების ძეგლია: 9 სექტემბერი, ბულგარეთის განთავისუფლების დღეა!

ბულგარელი ხალხი რწმენით უყურებს თავის მშვენიერ მომავალს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ცოცხალ სინამდვილედ აქციოს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გეგმები.

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ მიესალმება მეგობარ ბულგარელ ხალხს, ვრონენული დღესასწაულის ოცი წლისთავზე უსურვებს წინსვლას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს.

**დ. აბუთიძე,**
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.

* * *



სოფიის ცენტრალური უბანი—ლენინის მოედანი.
ფოტო ბდა-საკდესისა.

# წინასაარჩევნო დაპირებები

## პრეზიდენტ ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იტყობინება: დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა განაცხადა, რომ „კვლავ მხარს დაუჭერს ყოველ რეალისტურ ღონისძიებას, რომელიც ჩვენს პლანეტას დაუახლოვებს მშვიდობას..." ჯონსონმა სიტყვით მიმართა ქალაქ დეტროიტის მიტინგის მონაწილეებს. მიტინგი გაიმართა „შრომის დღის" გამო, რომელიც დღეს აღინიშნება ამერიკაში. „შიშით აღსავსე ცხრამეტი წლის" განმავლობაში, თქვა მან, არც ერთმა ქვეყანამ არ გამოიყენა ატომური იარაღი სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. სანამ პრეზიდენტი ვიქნები, განაცხადა ჯონსონმა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ არ მოხდეს ატომური დარტყმები, რომელთა შედეგების წარმოდგენა, შესაძლოა, არავის არ ძალუძს.

შეერთებული შტატების არც ერთმა პრეზიდენტმა, ხაზი გაუსვა ჯონსონმა, არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა ატომური იარაღის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. ეს თვალსაზრისი მან კვლავ გაიმეორა როგორც პასუხი პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის ბარი გოლდუოტერის იმ განცხადების გამო, რომ ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენების შესახებ ბრძანების გაცემის უფლება უნდა მიეცეს გენერლებს.

ჯონსონის დღევანდელი გამოსვლა დასაწყისია მისი კამპანიისა იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიონ მიმდინარე წლის ნოემბერში. ტრადიციით დემოკრატიული პარტიის კანდიდატები ოფიციალურ წინასაარჩევნო კამპანიას იწყებენ სიტყვით დეტროიტში „შრომის დღეს". ის დიდი ყურადღება, რომელიც ჯონსონმა დაუთმო დღევანდელ მიმართვაში ომისა და მშვიდობის საკითხებს, ცხადყოფს, რომ დემოკრატიული პარტია აპირებს ეს პრობლემა დააყენოს წინასაარჩევნო კამპანიის ცენტრში.

„მშვიდობა ის არის, რაც სურს ამერიკას, — განაცხადა პრეზიდენტმა, — მშვიდობა რაღაც უფრო დიდია, ვიდრე ის, რომ არ იყოს აგრესია. ეს არის ისეთი საზოგადოების შექმნა დედამიწაზე, რომელშიც თითოეულ ქვეყანას შეუძლია განახორციელოს თავისი საკუთარი კურსი ისე, რომ არ ეშინოდეს მეზობლებისა".

ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში და ხლეჩადი მასალების წარმოების შემცირება, პრეზიდენტის სიტყვით, მხოლოდ დასაწყისია მეტად გრძელი გზისა მშვიდობისაკენ. მშვიდობისაკენ წინსვლა ადვილი როდი იქნება. გვექნება წარუმატებლობაც და იმედგაცრუებაც, მიღწევებიც და წარმატებანიც.

საკმარისი არ არის, რომ მარტო გვსურდეს მშვიდობა, ან ვილაპარაკოთ მშვიდობაზე, ან იმედი გვქონდეს მშვიდობისა, განაცხადა ლ. ჯონსონმა. ჩვენ უნდა ვიშრომოთ მშვიდობისათვის. მუდამ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის. და ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ იმ ორგანიზაციებსა და ქვეყნებს, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან. მშვიდობას ქმნიან ადამიანები, და არა იარაღი.

ჯონსონის სიტყვის ერთ-ერთი ლეიტმოტივი იყო ამერიკელი ხალხის ერთობის თემა. მან მოუწოდა ამერიკელებს „ეროვნული ერთობისათვის". ეს მოწოდება გამოხატავს ჯონსონის მისწრაფებას თავის გარშემო გააერთიანოს ამერიკელთა დიდი უმრავლესობა, მიიმხროს რესპუბლიკური პარტიის რაც შეიძლება მეტი ტრადიციული წევრი და ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებელი" ამომრჩეველი.

მაგრამ ჯონსონმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის „პრობლემები, რომლებიც გულისწყრომასა და საწინააღმდეგო ინტერესებს იწვევენ", და გამოთქვა რწმენა, რომ „შეერთებული შტატები ერთობას არ შეცვლიან მტრობით, გაგებას სიძულვილით. ზურგს არ შეაქცევენ უმუშევართა და მშიერთა, ღარიბთა და ჩაგრულთა საჭიროებებს".

„ჩვენ — თქვა ჯონსონმა, — ვცდილობთ მოვსპოთ პირობები, რომლებიც უიმედო სიღატაკეს უქადიან მილიონობით ადამიანს".

დედამიწა ჩვენს თვალწინ იცვლება, განაცხადა დასასრულ პრეზიდენტმა, ამერიკის შეერთებული შტატები ან უნდა შეურიგდნენ ამ ცვლილებებს, ან ეს ცვლილებანი „გაგვანადგურებენ". ერთი მხრივ, მისი სიტყვით, არის „ბრწყინვალე იმედის" შესაძლებლობა. მეორე მხრივ, არის ძალა, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს სამყარო. ის ქვეყნები თუ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გაგვთიშონ, რომლებიც ბრძოლასა და განხეთქილებას ქადაგებენ, ზიანს აყენებენ ჩვენს იმედებს და მთელი მსოფლიოს იმედებს.

# ზეიმი სოფიაში

სოფია, 8 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გეორგი ტრაიკოვმა მიიღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, — იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

დელეგაციის წევრთა სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა ტ. ჟივკოვს, გ. ტრაიკოვსა და ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელებს, მთელ მოძმე ბულგარელ ხალხს უსურვა ახალი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

უპასუხა რა მისალმებაზე, ტოდორ ჟივკოვმა გამოხატა ბულგარელი ხალხის ურყევი მისწრაფება, რომ კვლავაც განამტკიცონ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ძმური, ურღვევი მეგობრობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა ბულგარელ ამხანაგებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

სოფია, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით აქ გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების საიუბილეო სესიის საზეიმო სხდომა.

სესიას ესწრებიან პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწეები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები, მათ შორის სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სესიაზე მოხსენება გააკეთა ტოდორ ჟივკოვმა.

# გენერალ ტეილორის სასწრაფო კონსულტაცია

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის ელჩი საიგონში გენერალი ტეილორი გუშინ ჩაფრინდა ვაშინგტონში მოხსენებისათვის. ენდრიუსის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იგი მაშინვე გაემართა თათბირზე სახელმწიფო მდივან დინ რასკთან, თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან, პრეზიდენტის სპეციალურ მრჩეველთან ეროვნული უშიშროების საკითხებში მაკჯორჯ ბანდისთან, სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან შორეული აღმოსავლეთის საქმეებში უილიამ ბანდისთან და გენერალ უილერთან.

როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აღნიშნავს, შეხვედრაზე ტეილორმა გააკეთა მოხსენება საიგონსა და სამხრეთ ვიეტნამის სხვა ქალაქებში უკანასკნელ მღელვარებათა შესახებ. ამ გამოსვლებს კინაღამ მოჰყვა ხანის გადაყენება და მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერისა აიძულა იგი ხელი აეღო პირადი სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის დამყარების გეგმებზე. „თანამდებობის პირნი, — წერს გაზეთი, — არაჩვეულებრივ თავშეკავებას და დუმილს იჩენდნენ მოლაპარაკების ტენდენციის საკითხში".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" საიგონელი კორესპონდენტი, იმოწმებს რა ამერიკის წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ტეილორი ვარაუდობდა განეხილა ვაშინგტონში ლაოსის ჩეპონეს რაიონის დაბომბვის შესაძლებლობა. საჰაერო თავდასხმა გათვალისწინებულია განხორციელდეს იმ საბაბით, თითქოს ამ რაიონში იყოს ვიეტკონგის მომარაგების ბაზა და კომუნიკაციათა ხაზები. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის აზრით, ვაშინგტონის მოლაპარაკება „დაფარავს ვიეტნამის სიტუაციის სამ ძირითად ასპექტს: პოლიტიკურ პირობებს საიგონში, საომარ მდგომარეობას მთლიანად და, კერძოდ, პერსპექტივებს პრეზიდენტის პოსტიდან ქხანის გადაყენების შემდეგ, და, ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ამ თვალსაზრისით".

საერთაშორისო ცხოვრება

# ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

# ამერიკა არჩევნების წინ

# I ინტერნაციონალის 100 წლისთავი

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს მუნიციპალურ დარბაზში „ფინსბერი ტაუნ ჰოლში" ინგლისელმა კომუნისტებმა საზეიმო კრებით აღნიშნეს პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავი. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის თავმჯდომარის ფრენკ სტენლის შესავალი სიტყვის შემდეგ პირველი ინტერნაციონალის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პარტიის ყოველთვიური ჟურნალის „მარქსიზმ ტუდეის" რედაქტორმა ჯეიმს კლუგმანმა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო პირველი ინტერნაციონალის გავლენას მუშათა მოძრაობის განვითარებაზე ინგლისში. კლუგმანმა აღნიშნა, თუ რა ტიტანურ ბრძოლას ეწეოდა პირველი ინტერნაციონალის რიგებში მარქსი საერთაშორისო პროლეტარიატის რიგების შეკავშირებისათვის.

# მოლაპარაკება დაიწყო

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო მოლაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრ დუგლას-ჰიუმსა და სამხრეთ როდეზიის რასისტული მთავრობის მეთაურს იან სმიტს შორის, რომელიც ლონდონში ჩამოვიდა.

მოლაპარაკების დროს განიხილება სამხრეთ როდეზიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი.

როგორც ცნობილია, ინგლისის ამ კოლონიის რასისტული რეჟიმის ლიდერები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოაცხადონ დამოუკიდებლობა ისეთ პირობებში, როცა ხელისუფლებას სათავეში უდგას თეთრკანიანი უმცირესობის მთავრობა, ხოლო აფრიკელი მოსახლეობის ძირითადი მასა პოლიტიკურ უუფლებობასა და სიღატაკეს განიცდის.

თავის მხრივ აფრიკელები მოითხოვენ ჯერ გათანაბრდეს მთელი მოსახლეობის უფლებები, ქვეყნის ძალაუფლება გადაეცეს აფრიკელთა უმრავლესობას და მხოლოდ შემდეგ გამოცხადდეს სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობა.

ამ თვალსაზრისით ინგლისის მთავრობის მდგომარეობა მეტად საჩოთიროა. მხარს უჭერს რა გულში სმიტსა და მის თანამოაზრეებს, ამავე დროს იგი ვერ ბედავს აშკარად განაცხადოს თავისი სიმპათიები, ეშინია, რომ გულისწყრომა იფეთქებს მთელ აფრიკაში, და ცდილობს დაიზღვიოს თავი და თავისი პოზიციები კონტინენტის ამ ნაწილში, თუ სამხრეთ როდეზიაში ძალაუფლებას ხელთ აიღებს აფრიკელთა უმრავლესობის მთავრობა.

# კონგრესი იზმირში

სტამბოლი, 7 სექტემბერი (საკდესი). იზმირში მიმდინარეობს „სამართლიანობის პარტიის" (თურქეთის ძირითადი ოპოზიციური კონსერვატიული პარტია) საყილაიეთო კონგრესი. როგორც გაზეთი „თერჯიუმანი" იუწყება, ეს კონგრესი ყველაზე წარმომადგენლობითი არის მთელი დროის მანძილზე. მას ესწრება 900-მდე დელეგატი და 50-მდე სენატორი და გუბერნატორი. კონგრესს ესწრება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური კონსული იზმირში მაქს ბრაი.

# კონგოს ამბები

ბრაზავილი, 8 სექტემბერი. (საკდესი). კონგოს (ბრაზავილი) პრემიერ-მინისტრის კანცელარიის კომუნიკეში, რომელიც აქ გაავრცელეს, საკადრისი პასუხი გასცეს მობუტუს პროვოკაციულ განცხადებას, რომელიც იმუქრებოდა, რომ სამხედრო მოქმედებას გადაიტანს კონგოს (ბრაზავილი) ტერიტორიაზე. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მობუტუს გამოსვლის მიზანია „ცეცხლს ნავთი დაასხას" იმ დროს, როცა ადის-აბებაში მუშაობს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესია, რომელიც განიხილავს კონგოს (ლეოპოლდვილი) მდგომარეობის საკითხს.

ბრაზავილი, 8 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ კონგოს განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ დეპეშა გაუგზავნა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დიალო ტელის და ადის-აბებაში კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელს ეჟიდ დავიდსონს, სადაც გადაჭრით უარყოფს ყველა წინადადებას, რომლებიც ჩომბემ წამოაყენა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესიაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭო მხარს უჭერს განის წინადადებას და მოითხოვს, რომ კონგოდან დაუყოვნებლივ გაიყვანონ ყველა უცხოელი მრჩეველი და დაქირავებული, რაც წინასწარი პირობა იქნება „მრგვალი მაგიდის" კონფერენციის მოწვევისათვის.

# იკედა მაო ძე-დუნის განცხადების შესახებ

ბონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ დახმარებას ვთხოვოთ ჩინეთს ტერიტორიულ საკითხში — უთხრა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იკედამ დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შპიგელის" კორესპონდენტს, რომელიც დაინტერესდა იმით, თუ როგორ ეკიდება იაპონიის მთავრობის მეთაური მაო ძე-დუნის იმ განცხადებას, რომ „საჭიროა" იაპონიას გადაეცეს კურილის კუნძულები.

საბჭოთა კავშირი და იაპონია — აი, ვინ უნდა მუშაობდეს ტერიტორიულ პრობლემაზე, და არა პეკინი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამასთან.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ გამოქვეყნებულია ჟურნალ „შპიგელში".

# ინდოეთის პარლამენტის სესია

დელი, 7 სექტემბერი (საკდესი). დღეს აქ დაიწყო ინდოეთის პარლამენტის მორიგი სესია.

ეს პირველი სესიაა, რომელსაც არ ესწრება ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, და პირველი სესიაა ლ. ბ. შასტრის მთავრობისათვის.

უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომლებსაც ეს სესია განიხილავს, არის ფართო მოხმარების პროდუქტების ფასების ზრდა, მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა მთლიანად, ინდოეთის ურთიერთობა მეზობლებთან.

# შემთხვევები

პარიზი. რიო-დე-ჟანეიროდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ქალაქ ახალ ფრიბურგის (რიო-დე-ჟანეიროს შტატი) მახლობლად მთებში დაიმსხვრა ბრაზილიის სამგზავრო თვითმფრინავი. 39 მგზავრი დაიღუპა.

სტოკჰოლმი. (საკდესი). სადგურ ალბიუში (ემტლანდის პროვინცია) 6 სექტემბერს ღამით ლიანდაგიდან გადავარდა და საცხოვრებელ სახლებში შეიჭრა ჩქარი მატარებელი „ჩრდილოეთის ისარი".

# ჭურვი ფეთქდება... საბავშვო ბაღში

ბონი. (საკდესი). 105-მილიმეტრიანი საარტილერიო ჭურვი აფეთქდა საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე მიუნსტერში (დასავლეთი გერმანია). რაღაც სასწაულით სახლში მყოფი არც ერთი ბავშვი არ დაშავდა. თავში მსუბუქი ჭრილობა მიიღო 6 წლის ბიჭმა, რომელიც ბაღში თამაშობდა.

როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, ჭურვი აცდა მიზანს ბუნდესვერის ერთი ქვეგანაყოფის სასწავლო სროლის დროს.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

გვატყობინებენ „კომუნისტის" მკითხველები, კორესპონდენტები



# თავისუფლების პოეზია

## ბულგარელი პოეტის თვალით

რამდენიმე თვე სტუმრად დაჰყო საქართველოში, მოგზაურობდა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ეცნობოდა ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებას, ადამიანებს, კულტურას, სწავლობდა ქართულ ენას ახალგაზრდა ბულგარელი პოეტი ნიკოლაი კინჩევი. იგი აპირებს ბულგარულად თარგმნოს ძველი და თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებნი.

სამშობლოში გამგზავრების წინ ნ. კინჩევმა „კომუნისტის" რედაქციას სთხოვა მიეცა შესაძლებლობა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილება საქართველოზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ბულგარელი პოეტის პატარა წერილსა და საქართველოზე შექმნილ ლექსს.

საქართველოს ბულგარეთშივე ვიცნობდი: მისი წარსულისა და აწმყოს ამსახველი, ზოგიერთი ფილმი მინახავს, მრავალი წიგნი წამიკითხავს; ამას გარდა, ჩემი მეგობრები თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ნამყოფნი არიან და მათი ნაამბობიც მომისმენია. ისინი აღტაცებულნი მიყვებოდნენ საქართველოს ამბებს და ეს კიდევ უფრო მიძლიერებდა შოთა რუსთაველისა და სხვა დიდებულ შემოქმედთა სამშობლოს ნახვის სურვილს.

მზიურ საქართველოში გამომგზავრების წინ ბაჩკოვის მონასტერი ვინახულე. ჩვენში ყველასათვის ცნობილია, რომ იგი ქართველი ბერების მიერ არის დაარსებული. მონასტრისათვის მათ ყველაზე თვალწარმტაცი ადგილი ამოურჩევიათ. ეს ადგილი საქართველოს ბუნებას მოგვაგონებს.

— ვიცი, ქართული ფერწერა საუკეთესოა. უეჭველად ჩამომიტანე ფიროსმანიშვილის, გუდიაშვილისა და ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა რეპროდუქციები, — დაჟინებით მთხოვდა მეგობარი მხატვარი. ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ ძეგლებს რომ ვათვალიერებდით, თვალებში ვამჩნევდი შურდა, რომ მასაც არ ჰქონდა შემთხვევა განეცადა ბედნიერება ენახა საბჭოთა საქართველო.

საქართველო შორს არ არის, ბულგარეთს მას მხოლოდ შავი ზღვა აშორებს.

თვითმფრინავიდან კავკასიის ქედებს რომ დავყურებდი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს კვლავ მოსწავლის მერხზე ვიჯექი და გეოგრაფიის რელიეფურ რუკას ვუცქერდი. საქართველო მთლად მზის სხივებში იყო გახვეული.

„გამარჯობა!" — მეგებებიან მეგობრები. მეგებება სტუმართმოყვარე საქართველო. აგერ თბილისიც! მთაწმინდა მთლად სოფიის მთა—ვაშოტა მგონია. რუსთაველის პროსპექტზე თითქოს ნაცნობ სახეებს ვხედავთ. ისინი თითქოს ჩემი თანამემამულეების ტყუპისცალები არიან.

რას ფიქრობენ ისინი? რა აღელვებთ მათ? აი რა მაინტერესებდა. ამის გასაგებად თავდაპირველად ძველი ისტორია უნდა იცოდე, მთების პროფილებსა და ხალხის შეგნებაში რომ ინახება.

არასოდეს არ დამავიწყდება მცხეთა, არც ის მეგობრები, ვინც იგი მაჩვენა. მცხეთა! ეს მხოლოდ წარსული როდია, ეს თანამედროვეობაც არის! ბალახებზე დარჩენილი წინაპართა სისხლი ყაყაჩოებად და მაიაჰიებად გარდასახულა. იგი იმიტომ ილვრებოდა, რომ საქართველო მარადის თავისუფალი ყოფილიყო. დღეს კი ამ თავისუფლებას ამკობს ნამდვილი პოეზია! მას მხოლოდ ქაღალდზე გადატანა უნდა, სხვა არაფერი! ასეც იქცევიან ქართველი პოეტები. სწორედ ამიტომ არ არის მათ ლექსებში ნაძალადეობა. საქართველო ლექსით, ვარდით და ვაზით შემკული ქვეყანაა.

ტყუილად კი არ მოსდგომია იაზონი კოლხიდას! მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რაც საქართველოში ხალხს თავისი ხელით გაუკეთებია. აქ მთებიც კი მწვანექუდიან ადამიანებს გაგონებს. თითქოს მთებიც კი ამტკიცებენ, რომ საჭიროა ვიცხოვროთ და თანაც კარგად ვიცხოვროთ. ჩვენი იდეებიც ხომ ასეთია.

მოხარული ვარ, რომ ასეთი ღირსშესანიშნავი მხარე ვიხილე. ვეცდები ყოველივე ეს ჩემს შემოქმედებაში აისახოს.

ნიკოლაი კინჩევი.

## აი ის ქვეყანა...

ბრწყინავენ, ელავენ ჭიამაიები,
ყველგან სილამაზე და ნამის მძივები...
აი ის ქვეყანა, — ნანატრი, ნახული!
ყველგან სისპეტაკე, ყველგან გაზაფხული!
ფოთლების სიმღერა, საამო სურნელი,
ყველგან სიხალისე, სულის განმკურნელი!
ყველგან სიხარული, დიდი, საკვირველი,
ლამაზი ფრთით სერავს ცას ლაღი ფრინველი!
ისუნთქონ ჰაერი ყველგან ამ ქვეყნისა,
ის ყველას ეღირსოს, ამ ხალხს რომ ეღირსა!
ამაყო ალვისხევ, ალვისხევ მაღალო,
საამოდ შრიალმა ნურასდროს დაგღალოს!
აი ის ქვეყანა — ნაძებნი, ნახული!
ყველგან სისპეტაკე, ყველგან გაზაფხული!

თარგმანი ა. ბეგაშვილისა.

# არქეოლოგთა წყალქვეშა თანაშემწეები

ბევრ საიდუმლოებას ინახავს შავი ზღვის სიღრმე. ერთ-ერთი მათგანია ძველი ქალაქი დიოსკურია, რომლის ნამოსახლარი, მეცნიერთა ვარაუდით, სოხუმთან შავი ზღვის ფსკერზეა.

მეცნიერები შეეცადნენ ფარდა აეხადათ უძველესი ქალაქის საიდუმლოებისათვის, მაგრამ ზღვის ფსკერზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება მეტად რთული და სახიფათო საქმეა. ჯერჯერობით წყალქვეშ ნაპოვნია მხოლოდ ციხე-სიმაგრის ნანგრევების კედლები, სხვადასხვა კერამიკულ ნაკეთობათა ნამსხვრევები, ამფორები, საფლავის ქვა და სხვა, რომლებიც ადასტურებენ ანტიკური ქალაქის არსებობას.

ძველი დიოსკურიის მყუდროებას მხოლოდ თევზები და ზღვის სხვა ბინადარნი არღვევენ. მაგრამ აი მათ გარდა ზღვის ფსკერზე ადამიანებიც აღმოჩნდნენ.

მათ სახეები ნიღბებით აქვთ დაფარული, ფეხებზე თევზის ბოლოს მსგავსი ლასტები წამოუცვამთ, ზურგზე კი წყალბადის დიდი ბალონები მოუკიდებიათ. ისინი მიცურდნენ ციხის ნანგრევებთან და რაღაცას ყურადღებით ათვალიერებდნენ. ზღვის ფსკერის სიბნელეს დროდადრო ელექტრონათურების მძლავრი სინათლე აშუქებს.

ამ დღეებში სოხუმის სანაპიროზე ხშირად შეხვდებით წყალქვეშა ცურვისათვის მომზადებულ აკვალანგისტთა ჯგუფს, მზისგან გარუჯულ ახალგაზრდებს, რომლებიც ცდიან წყალქვეშა ხელსაწყოებს, საყვინთავ კომპასებს, წყალქვეშა გადაღებების სპეციალურ ფოტოაპარატურას.



ესენი არიან მონაწილენი წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციისა, რომელსაც აწყობს საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

აი რა გვიამბო ამ ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ფაჩულიამ.

— ჩვენს არქეოლოგიურ ჯგუფს შავი ზღვის ანტარქტიდის მაძიებლებს ეძახიან. ექსპედიცია განაგრძობს ძნელ წყალქვეშა სამუშაოებს, ზღვის ფსკერზე მდებარე ანტიკური ქალაქის დიოსკურიის ძიებასა და შესწავლას. ექსპედიცია თავის მუშაობას დაიწყებს მდინარე კოდორის შესართავთან. შემდეგ განაგრძობს სამუშაოებს ზღვის სანაპიროს გასწვრივ თითქმის ანაკლიამდე. ეს მარშრუტი 100 კილომეტრამდე გაგრძელდება.

მუშაობის პროცესში ჩვენი ექსპედიციის აკვალანგისტები გულდასმით შეისწავლიან იმ ადგილებს, სადაც წყალქვეშა არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი და სადაც ხშირად ზღვის ტალღები გამორიყავენ ხოლმე ანტიკური ქალაქის სხვადასხვა საგნებს.

ექსპედიციის მონაწილეთა შორის არიან სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები, წყალქვეშა სპორტის მოყვარულები, რომლებიც გაიტაცა წყალქვეშა ქალაქის ძიებამ.

აკვალანგისტების ჯგუფს უხელმძღვანელებს მოსკოველი ბ. კიროვი. გეოლოგი რ. ტუზიკოვი აწარმოებს წყალქვეშა გადაღებებს ფერად ფირზე. გეოლოგების ჯგუფს სათავეში ჩაუდგება ოჩამჩირელი პედაგოგი ს. ადლიბა.

ეჭვი არ არის, რომ ექსპედიციის მუშაობა ბევრ ახალ საინტერესო მასალას გამოავლენს წყალქვეშა ძეგლების შესწავლისათვის და დახმარებას გაუწევს მეცნიერებს წყალში ჩაძირული ანტიკური ქალაქის დიოსკურიის საიდუმლოების ამოხსნაში.

ს. კილაძე.

სურათზე: აკვალანგისტთა ჯგუფი ემზადება მორიგი დავალების შესასრულებლად.

ფოტო ავტორისა.

# სტუმრები სტავროპოლიდან

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ქართველ და სტავროპოლელ სელექციონერებს. მათი მიზანია საცდელი საქმის მეთოდიკისა და ნოვატორულ სიახლეთა ურთიერთგაზიარება.

ამ დღეებში ქართველ სელექციონერებს წილკანში სტუმრად ეწვია სტავროპოლის სასელექციო-საცდელი სადგურის სამეცნიერო დელეგაცია სადგურის დირექტორის მ. ზაკოსარენკოს ხელმძღვანელობით.

მეგობრულ საუბრებში რუსმა და ქართველმა სელექციონერებმა ბევრი საგულისხმო შენიშვნა და სასარგებლო რჩევა მისცეს ერთმანეთს. სასელექციო სადგურში ორი დღის ყოფნის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთისა და თბილისის ისტორიული ძეგლები, გავლით იყვნენ გორში, ქუთაისსა და სოხუმში.

დ. ბასილაია.

## შემთხვევა

# მიუსწრეს, გადაარჩინეს

გურჯაანი. (საკ. კორ.). სოფელ მუკუზნის ახლოს სამშენებლო ორგანიზაციამ ვეებერთელა ორმოში დიდძალი ფისი ჩაასხა. იგი არც შემოღობილი იყო და არც არავინ იცავდა. ორმოს ირგვლივ ბავშვები თამაშობდნენ. პატარა თამაზ უზუნაშვილმა წაიბორძიკა და ორმოში გადავარდა. მან ტირილი მორთო, შველას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ, ბავშვები შეშინდნენ და გაიქცნენ.

ფისში თანდათან ეფლობოდა ბავშვი, სიკვდილი ემუქრებოდა. შემზარავი ყვირილი მახლობლად მცხოვრებ ომარ და გივი ახაშვილებმა, ა. სარაშვილმა გაიგონეს. მათ ორმოში ფიცრები ჩააწყეს და დიდი წვალებით ფისიდან „ამოაძრეს" თამაზი. მათ თანასოფლელთა მადლობა დაიმსახურეს.

# ხელოვნების ქრონიკა

□ თელაველ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა კონცერტმა, რომელიც ესტრადის ცნობილმა ოსტატმა, უკრაინის დამსახურებულმა არტისტმა ნიკოლოზ შუკინმა გამართა. მან შეასრულა თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებნი.

კონცერტში მონაწილეობდნენ ბანდურისტები: საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ლისაკოვსკაია, გამოვა, და პილიპენკო. აგრეთვე საესტრადო ჯაზ-ორკესტრი ფ. ბილის ხელმძღვანელობით. კონფერანსიე ვ. ემშინეცკი.

შუკინის კონცერტი გაიმართა აგრეთვე გურჯაანში.

ქ. სიმონიშვილი.

□ ამბროლაური. აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა სამხრეთ ოსეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გაგლოევის ხელმძღვანელობით.

ანსამბლმა კონცერტები გამართა ონისა და ამბროლაურის სახალხო თეატრების სცენებზე.

აკ. კერესელიძე.

□ ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის საესტრადო ანსამბლმა მოაწყო გასვლითი კონცერტები სოფლებში — წიფაში, ზვარესა და ნაბაბურში, მარელისის გრეხილა ავეჯის ფაბრიკაში. მაყურებელს უჩვენა თ. კიკნაძის მიმოხილვა „ზოგჯერ ასეც ხდება".

კ. ნანიტაშვილი.

# „ლიტერატურული სიღნაღი"

სიღნაღი. (საკ. კორ.). ლიტერატურულ წრეში, რომელიც სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის" რედაქციისა და სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკთა ინიციატივით შეიქმნა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გაერთიანდა. მათ შორის არიან მუშები, კოლმეურნეები, მასწავლებლები, ექიმები.

ლიტერატურულმა წრემ ამ დღეებში გამოუშვა ხელნაწერი ჟურნალის „ლიტერატურული სიღნაღის" პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია უ. ყორღანაშვილის ლექსი „მამღერე ბარემ", ლ. ბეგიაშვილის ლექსები: „შენი თვალები", „ხირსის მონასტერი", „ლამაზ ქუჩაზე ლამაზი მიდის", ვლ. ასლამაზაშვილის, დ. გონაშვილის, ნ. შარმიაშვილისა და სხვათა მოთხრობები.



აბა, ვნახოთ როგორია!

ფოტოეტიუდი ა. ჩარკვიანისა.

## ჩემპიონატები • ტურნირები

# სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და კიევის „დინამოს" გუნდები. დამატებითი დროის მიუხედავად, ეს დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

დღეს გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

# ჩემპიონატის სტარტზე

გუშინ საფრანგეთში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება ველორბოლაში ტრეკზე. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩემპიონატზე გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები.

წარმატებით აიღეს სტარტი ჩვენმა ველომრბოლმა ქალებმა. ინდივიდუალურ რბოლაში სამ კილომეტრზე დადევნებით ა. პურონენი და დ. სმოლენცევა ნახევარფინალში გავიდნენ.

ვაჟთა შორის ველორბოლის ამავე სახეობაში არასახარბიელოდ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენი ვაჟები ს. მოსკვინი და ს. ტერეშჩენკო. მათი მაჩვენებლები წინასწარ შეხვედრებში დაბალი იყო და გამოეთიშნენ პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს.

კომუნისტი სპორტი

# პრეტენდენტთა ტურნირი გაიხსნა

გუშინ სოხუმში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში ქალთათვის.

ტურნირის მონაწილეებს მიესალმნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ ე რ უ ლ ა ვ ა, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ა ბ რ ა მ ო ვ ი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ჭ ი რ ა ქ ა ძ ე და სხვ.

მოეწყო წილისყრა. დღეს გაიმართება პირველი ტური.

# მატჩი დონის როსტოვში

გუშინ დონის როსტოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და დონეცკის „შახტიორის" გუნდები. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც არმიელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს მეტოქის კარში.

ამრიგად, დონის როსტოვის სკა 23 თამაშიდან შეგროვილი 29 ქულით მეორე ადგილზეა.

# მასპინძლები— პირველ ადგილზე

ბუქარესტში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. ფინიშამდე წარმატებით მივიდნენ რუმინეთისა და სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდები. პირველობის საკითხი სწორედ მათ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

დასკვნით მატჩში საბჭოთა წყალბურთელებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მაგრამ ბრძოლა მაინც შეუპოვარი გამოდგა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:2.

ამრიგად, ტურნირზე 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდმა. საბჭოთა წყალბურთელები 8 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

# ოლიმპიადის პირველი სტუმრები

ტოკიო, 7 სექტემბერი (საკდესი). იაპონიის დედაქალაქში ჩამოვიდნენ XVIII ოლიმპიური ასპარეზობის პირველი მონაწილენი — მექსიკელი ცხენოსნები, რომლებმაც გადაწყვიტეს შეჯიბრების გახსნამდე უკეთ შეეგუონ იაპონიის კლიმატურ პირობებს.

ტოკიოს აეროდრომზე ახლა გახურებული მუშაობაა. აქ მიმდინარეობს მზადება 300-ზე მეტი თვითმფრინავის მიღებისათვის, რომლებიც სპორტსმენებს ჩამოიყვანენ. 8.000 სპორტსმენსა და ოფიციალურ პირზე მეტი, რომლებიც 98 ქვეყნის წარმომადგენლები არიან, ოლიმპიადაზე საჰაერო გზით ჩამოვლენ.


# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი

დაუსწრებელი განყოფილების ყველა კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დამატებითი გამოცდები იწარმოებს შედგენილი ცხრილის მიხედვით. 10-დან 30 სექტემბრამდე.

ყველა სტუდენტი ვალდებულია აღნიშნულ დროში დაფაროს აკადემიური დავალიანება.

სახელმწიფო გამოცდები 1-დან 30 ოქტომბრამდე. განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება 15-დან 25 სექტემბრამდე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ცნობა სამსახურიდან, შრომის წიგნაკის ამონაწერი და ჩათვლის წიგნაკი.

დამატებით ა. წ. 3 ივნისის გაზეთ „კომუნისტის" № 128-ში გამოქვეყნებული განცხადებისა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატურის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ბავშვთა ქირურგიის სპეციალობაში. ვადა 15 დღე დღიდან გამოცხადებისა.

# დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1964 წლის 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ილია სოლომონის-ძე აფხაზავა დაიცავს დისერტაციას თემაზე „მდინარე არაგვის აუზის ლანდშაფტური დახასიათება".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტი

# თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

გამოთვლითი ტექნიკა (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ).

გამოთვლითი მათემატიკა (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ).

ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ).

საკონტროლო-გამზომი ტექნიკა (წარმოებისაგან მოწყვეტით).

ასპირანტურაში მიიღებიან პირები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არჩეული სპეციალობის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არანაკლებ 2 წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით შემდეგ დისციპლინებში:

სპეციალურში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი და ამონაწერი ჩათვლის წიგნაკიდან; დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან; ავტობიოგრაფია; კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით 6×4 სმ; გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია. ის პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებას (რეფერატს);

პრაქტიკული მუშაობის სტაჟის დამამოწმებელი დოკუმენტი (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან);

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ შეიძლება ისწავლოს ასპირანტურაში.

განცხადებები მიიღება 20 სექტემბრამდე.

მისაღები გამოცდები 1 ოქტომბრიდან.

პირებს, რომლებიც დაშვებული იქნებიან გამოცდაზე წარმოებისაგან მოწყვეტით ან მოუწყვეტლივ, ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით ხელფასის შენარჩუნებით სამუშაო ადგილიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 5-62-65, 5-57-01, დამატ. 5-32. მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 37.

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო

საქართველოს სსრ ყველა დაწესებულებათა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საყურადღებოდ აცხადებს

რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან ჩატარდება მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა წლიური ინვენტარიზაცია, რის გამო ლითონმომარაგება-გასაღების, ელექტრო და რადიოტექნიკის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, ხე-ტყის და ქაღალდის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, კვების მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, ქიმიური მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების; საშენ მასალათა მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების; მანქანათმშენებლობის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების, ავტოტრაქტორმარაგგასაღების სამმართველოებში, აგრეთვე ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორის და აჭარის სარაიონთაშორისო მომარაგების ბაზის (ყოფილი აჭარმომარაგება) საწყობებსა და ბაზებში აღწერასთან დაკავშირებით აღნიშნულ ორგანიზაციებში დროებით შეწყვეტილი იქნება ყოველგვარი ოპერაციები.

დაწესებულებების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ინვენტარიზაციის პერიოდში საჭიროა 1964 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული საწყობებიდან და ბაზებიდან აუცილებელი რაოდენობით მიღება მასალებისა, მოწყობილობისა და კომპლექტაციის ნაწარმისა 1964 წლის ფონდების ანგარიშში.

საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო.

# თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტთან

იხსნება მოსამზადებელი კურსები ინსტიტუტში შემსვლელთათვის

კურსებზე იწარმოებს ყველა იმ საგნის სწავლება, რომლებსაც ინსტიტუტში შემოსვლისას მისაღებ გამოცდებზე აბარებენ.

კურსებზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ატესტატის პირი და ცნობა სამსახურიდან.

განცხადებები მიიღება უცხო ენათა ინსტიტუტის შენობაში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 45).

მეცადინეობა მოსამზადებელ კურსებზე დაიწყება ა. წ. 15 სექტემბერს და გაგრძელდება 1965 წლის 1 აგვისტომდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ კურსების დირექციას.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

კურსების დირექცია.


# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

10 სექტემბერს

12.00 — კინონარკვევი „ოჯახის მეგობარი", 12.10 — მუსიკალური ფილმი „მღერის გოჰარ გასპარიანი", 18.05 — უფროსკლასელთათვის — „საინტერესო შეხვედრების კლუბი", 18.45 — განცხადებები, 18.50 — გადაცემა ციკლიდან — „ჯანმრთელობის სადარაჯოზე", 19.05 — გადაცემა — „საბჭოთა კინოს დიდოსტატი — ალექსანდრე დოვჟენკო, 20.05 — საესტრადო კონცერტი, 22.15 — ახალი ამბები.

## რადიო

10 სექტემბერს

პირველი პროგრამით

06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — კამერული მუსიკა, 09.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — ბელორუსული მუსიკის კონცერტი, 12.10 — საუბარი — „დიადი მოძრაობის სათავეებთან" (I ინტერნაციონალის 100 წლისთავისათვის), 12.25 — ტ. ბაქრაძე. სიმფონია, 13.40 — რუსული ხალხური სიმღერები, 17.15 — ფრაგმენტები დ. თორაძის ბალეტ „გორდადან", 17.30— გადაცემა მოსწავლეთათვის. ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას" ფურცლებზე, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — ვოლფის სიმღერები, 19.30 — საუბარი — „მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი — რესპუბლიკის წარმოებას", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — თეატრი მიკროფონთან", 23.30 — კონცერტი — „ახალი ჩანაწერები".




„დინამოს" სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპექტი № 2,

ტელ. 5-21-62.

9 სექტემბერს

ფეხბურთი

„იმედის" თასის გათამაშება

სომხეთის სსრ ნაკრები ახალგაზრდული გუნდი — საქართველოს სსრ ნაკრები ახალგაზრდული გუნდი.

დასაწყისი 18 საათზე

ბილეთების გაყიდვა 9 სექტემბერს 15 საათიდან.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში გადატანილ იქნება „ბურევესტნიკის" სტადიონზე.

# საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს დამატებით მიღებას ასპირანტურაში 1964 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით — ბიოფიზიკა — 1 ადგილი, სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა — 1 ადგილი.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

შემსვლელთათვის სავალდებულოა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობის ორი წლის სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით.

ასპირანტურაში შემსვლელნი ინსტიტუტის რექტორის სახელზე ადგენენ განცხადებას, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: კადრების აღრიცხვის ფურცელი, ფოტოსურათები, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, დოკუმენტი მუშაობის სტაჟის შესახებ, გამოქვეყნებული შრომების სია ან გამოგონების საავტორო მოწმობები, ხოლო ვისაც შრომები და საავტორო მოწმობები არა აქვს, ისინი ადგენენ რეფერატს არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განცხადებების მიღება იწარმოებს 1964 წლის 25 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები 1964 წლის 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 13.



რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.



კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-89, მრეწველობის — 8-20-48, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11331 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.